



**giz** Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH



# ՀԱՆՉՏՈՒՆ ԻՎ ՃՈՒՊՈՆՆ ԹՎՅՈՒՄՎԻՇՈՒՆ ՆԺԻՎԺՆԱԾՈՎ

**2014-2021**



**პანკატიის  
რეგიონის  
ბუნებრივი რესურსების  
სტრატეგია**

**2014-2021**



## შინაარსი

I. ზოგადი ნაწილი	5
II. რეგიონის სოციალური განვითარება	5
დასაქმება და შემოსავლები	5
ჯანდაცვა	7
განათლება	9
III. რეგიონის ეკონომიკური განვითარება	10
ეკონომიკა (სოფლის მეურნეობის გარდა)	10
სოფლის მეურნეობა	12
IV. ინფრასტრუქტურა	23
V. გარემოს დაცვა	25
VI. რეგიონის ფაქტორული ანალიზი (SWOT)	28
VII. რეგიონის განვითარების პრიორიტეტები, ხედვა, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები.	40
რეგიონის განვითარების პრიორიტეტები	40
რეგიონის განვითარების 8-წლიანი ხედვა	40
2014-2021 წლების სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები	40







## I. ზოგადი ნაწილი

კახეთი საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრისპირა რეგიონია. მას ჩრდილოეთიდან რუსეთის ფედერაცია ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან კი - აზერბაიჯანის რესპუბლიკა. კახეთის ფართობი 11,310 ათასი კმ-ია, რაც საქართველოს ტერიტორიის 17,5%-ია. საქსტატის 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კახეთში 405 ათასი მოსახლეა, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 9%-ია. ამ მაჩვენებლით კახეთი მეოთხე ადგილზეა იმერეთის, ქვემო ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის შემდეგ. რეგიონში 9 ქალაქი და 276 სოფელია, ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი თელავი. კახეთში სულ 8 ადმინისტრაციული ერთეულია. რეგიონი მკვეთრად აგრარული მონო-ეკონომიკით და ურბანიზაციის დაბალი დონით ხასიათდება.

კახეთის მოსახლეობის 80% სოფლად ცხოვრობს. რეგიონის სოფლები მოსახლეობის რიცხოვნობითა და განსახლების სიმჭიდროვით გამოირჩევა. მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობა 1200 კაცია, რაც 2-ჯერ აღემატება საქართველოს სოფლის საშუალო ზომას. ბოლო 2 წლის განმავლობაში რეგიონში ბუნებრივი კლება და შესაბამისად, მოსახლეობის დაბერება შეინიშნება, გაზრდილია ახალგაზრდების მიგრაცია. 20-დან 39 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა რეგიონის მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 17%-ს შეადგენს. შიდა და გარე მიგრაციის შედეგად რეგიონის მოსახლეობა 2002 წელთან შედარებით 0.2%-ით შემცირდა, ხოლო 1989 წელთან შედარებით კი — 7.9%-ით.


კახეთის ადგილმდებარეობა, კერძოდ, თბილისთან სიახლოვე და აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან საერთო საზღვარი, განაპირობებს ამ რეგიონის სატრანსპორტო არტერიის როლს და ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის კარგ საფუძველს ქმნის. ტურისტების ნაკადის ზრდის შემთხვევაში, მომავალში შეიძლება აქტუალური გახდეს თელავის აეროპორტის (ამჟამად 1 ასაფრენი ბილიკია) ამოქმედება.

საქართველოს ტყეების ფართობის 11-12% კახეთის რეგიონშია. კახეთის ტერიტორიის 30% ტყით არის დაფარული და ამ მხრივ, მესამე ადგილზეა საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით. რეგიონის ტყეების 98% მთის ტყეების კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც უდიდესი ეკოლოგიური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.

## II. რეგიონის სოციალური განვითარება


### დასაქმება და შემოსავლები

კახეთში მოსახლეობის ბუნებრივი კლება ფიქსირდება. ბუნებრივი კლება იყო როგორც სოფლად, ისე ქალაქად. საქართველოს 6 რეგიონში სოფლად სიკვდილიანობის მაჩვენებელი აღემატებოდა შობადობას, ხოლო ქალაქად ბუნებრივი კლება სამ რეგიონში იყო: კახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში.



წყარო: საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთებული დათვლები

ამ ფონზე შეინიშნება მოსახლეობის შიდა და გარე მიგრაცია. რეგიონულ ტერიტორიაში მიგრაციის სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა სტრატეგიაზე სამუშაო შეხვედრების დროს მიღებული ინფორმაციით, კახეთში მთელი რიგი სოფლები (ახმეტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში) მოსახლეობისგან დაცლილია. შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი მასობრივად გადის საქართველოს სხვა ქალაქებსა და საზღვარგარეთ. კახეთში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, გარე მიგრაციის ფემინიზაცია





იკვეთება, რაც მკვეთრად უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის დემოგრაფიულ მაჩვენებელზე. სამსახურის შოვნის უპერსპექტივობის გამო რეგიონს ახალგაზრდებიც ტოვებენ, შედეგად კი მოსახლეობის დაბერების ტენდენცია იკვეთება, განსაკუთრებით სოფლად. ახალგაზრდების მიგრაციის შეჩერება და შობადობის მატების ხელშეწყობა რეგიონის წინაშე არსებული გამოწვევაა. დაბერების ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში ვერ განვითარდება ეკონომიკა, ვერ გაუმჯობესდება მოსახლეობის ცხოვრების დონე და შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ განეული სოციალური და ჯანდაცვის ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზრდება.

სტატისტიკის მონაცემების მიხედვით, კახეთში დასაქმების მხრივ მდგომარეობა საშუალოზე უკეთესია. დასაქმებისა და აქტივობის დონით კახეთის მაჩვენებელი აღემატება საქართველოს საშუალო მაჩვენებელს, ხოლო უმუშევრობის დონე კახეთში უფრო დაბალია, ვიდრე საშუალოდ საქართველოში. ეს ძირითადად სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა რაოდენობით არის განპირობებული.

2012	კახეთი	საქართველო, საშუალო მაჩვენებელი
დასაქმების დონე	67.1 %	56.8%
აქტივობის დონე	71.8 %	66.9 %
უმუშევრობის დონე	6.5 %	15.01 %

წყარო: საქსტატი

კახეთში მთლიანი მოსახლეობის 48%-ს (199 700 ადამიანი) სამუშაო ძალა წარმოადგენს, აქედან უმუშევარია 13 100 (6.5%), ხოლო აქტიური მოსახლეობის ყველაზე დიდ წილს — 71%-ს (142 400 ადამიანი) თვითდასაქმებულები წარმოადგენენ, რომელთა შემოსავალიც არასტაბილურია, ძირითადად, სეზონურობის გამო.

რეგიონის ეკონომიკის განვითარების მიზანია შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, დასაქმებული და თვითდასაქმებული მოსახლეობა მაქსიმალურად უზრუნველყოს უწყვეტი შემოსავლით და გაზარდოს რეგიონის კონკურენტუნარიანობა.

კახეთში ეკონომიკის განვითარება დამოკიდებულია არსებული ბუნებრივი რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე, ადამიანური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის შემდგომ განვითარებაზე. დასაქმების ზრდას თან უნდა ახლდეს საბავშვო ბალებისა და სკოლების განვითარება, რომლის უწყვეტი და ხარისხიანი ფუნქციონირება ხელს შეუწყობს დამატებითი სამუშაო ძალის (მშობლების) შრომის ბაზარზე გასვლას. ეკონომიკის განვითარებისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, რადგან სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი ეკონომიკურ აქტივობას აფერხებს. ასევე, მნიშვნელოვანია ადგილობრივი ნაწარმის კონკურენტუნარიანობა.





რეგიონის ეკონომიკის ზრდისთვის აუცილებელია სახელმწიფოს მხარდაჭერა იმ პრობლემების გადაჭრაში, რომელიც უკავშირდება რეგიონში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, ადგილობრივი წარმოების პროტექციონიზმს, ინფრასტრუქტურისა და ფინანსური შუამავლობის განვითარებას და იმ საკითხებს, რომელიც მხოლოდ ერთი რეგიონის დონეზე ვერ გადაწყდება.

კახეთში მოსახლეობა ძირითადად დასაქმებულია სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში, როგორც არის: მშენებლობა, რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, გზების დაგება-შეკეთება, სანიაღვრე და სარწყავი სისტემების მოწყობა-განმენდა და ა.შ. სამუშაო ძალაზე მოთხოვნაც ამ მიმართულებით არის, რაც იმას ნიშნავს, რომ ინფრასტრუქტურის განვითარება მნიშვნელოვანია კახეთის რეგიონისთვის.

კახეთში ხელფასების დონე საშუალოზე დაბალია. 2011 წლის მონაცემებით, კახეთში საშუალო ხელფასი 323 ლარს შეადგენდა, მაშინ როცა საქართველოში საშუალო მაჩვენებელი 623 ლარი იყო. ამავე დროს, სახეზეა გენდერული უთანასწორობა — ერთსა და იმავე სფეროში დასაქმებულ ქალთა და მამაკაცთა ხელფასები მკვეთრად განსხვავებულია მამაკაცთა სასარგებლოდ. ერთ შინამეურნეობაზე და მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლით კახეთი ბოლოდან მეორე ადგილზეა და მას მხოლოდ ქვემო ქართლი ჩამორჩება. ხარჯების მაჩვენებლითაც კახეთი ბოლოდან მეორე ადგილზეა. ეს, თავის მხრივ, დაბალ მოხმარებას ნიშნავს, რაც ეკონომიკის (ვაჭრობის) განვითარების ბარიერია.

კახეთში შინამეურნეობის შემოსავლის წყაროს, დაქირავებული შრომის შედეგად მიღებულ შემოსავალთან ერთად, პენსიები (17%) და დახმარებები (16%) შეადგენს. ამასთან, იგივე წილი (16%) აქვს ფულის სესხების შედეგად ან დანაზოგის ხარჯვით მიღებულ შემოსავალს. ასევე, მნიშვნელოვანი წილი აქვს არაფულად შემოსავლებს (15%), ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის წილი უფრო მწირია (14%). ეს კი ნიშნავს, რომ შინამეურნეობის შემოსავლებში პენსიები და დახმარებები, სესხები ან დანაზოგები, ასევე, ნატურალური პროდუქტი უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ვიდრე დაქირავების შედეგად მიღებული ხელფასი.

სახელმწიფოს დანახარჯები კახეთის მოწყვლად მოსახლეობაზე საკმაოდ დიდია. 2012 წლის მონაცემებით, საპენსიო ასაკის მოსახლეობის რიცხვით კახეთი იმერეთის შემდეგ, სამეგრელო-ზემო სვანეთთან ერთად მე-2 ადგილზე იყო. სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულთა წილით კახეთი პირველია რეგიონებს შორის (თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა). 57000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების რაოდენობით კახეთი მე-2 ადგილზეა იმერეთის შემდეგ. საარსებო შემწეობაზე გადარიცხული თანხის ოდენობა კახეთში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია იმერეთისა და შიდა ქართლის შემდეგ. ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, არსებული მიზნობრივი სოციალური დახმარების მექანიზმიდან გამომდინარე, ბევრი ბავშვიანი ოჯახი ბენეფიციართა რიგებში ვერ ხვდება, შესაბამისად, სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვთა რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე ზრდასრულთა. თუმცა ეს პრობლემა მთელი საქართველოს მასშტაბით აქტუალურია<sup>1</sup>. რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების რაოდენობა კახეთში სხვა რეგიონებთან შედარებით დაბალია, ყველა რეგისტრირებულს ერიცხება შესაბამისი შემწეობა და დახმარება<sup>2</sup>.

## ჯანდაცვა

ჯანდაცვის სექტორის გამართულ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული რეგიონში მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი. კახეთში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, 2013 წლის 1 აპრილიდან საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა, რომლის მიზანიც საქართველოს მთელი მოსახლეობისთვის პირველადი ჯანდაცვისა და გადაუდებელი დახმარების უფასო მიწოდებაა. კახეთში 122 სოფლის ამბულატორია მოქმედებს. 2011 წლისთვის მოსახლეობის ერთ სულზე მიმართვების რაოდენობით კახეთი საქართველოს რეგიონებს შორის 1.3%-ით მეოთხე ადგილზეა და ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ბოლო 6 წლის განმავლობაში. გაუმართავია პჯდ-ს ინფრასტრუქტურა, ამ დაწესებულებების დიდი ნაწილი საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, ხშირ შემთხვევაში კი, მომუშავე პერსონალის პირადი მცდელობის მიუხედავად, ჰიგიენური მდგომარეობა სრულიად არასახარბიელოა<sup>3</sup>.

კახეთში პჯდ სექტორში ყოველ 1000 კაცზე ერთი ექიმი მოდის, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ამავე დროს, საშუალო მედპერსონალის ნაკლებობა შეინიშნება (ერთ ექიმზე 0.9 ექთანის მოდის)<sup>4</sup>. ნორმალურია ექიმთა სწავლების მაჩვენებელი: „ოჯახის ექიმად“ გადამზადდა პჯდ სექტორის 198 ექიმი და 209 ექთანი, რაც კახეთის მთელი მედ-პერსონალის 49%-ია. ყველა მუნიციპალიტეტში არის გარემონტებული და სათანადოდ აღჭურვილი სტაციონარი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, კახეთში სტაციონარში 100.000 მოსახლეზე სანოლგების უზრუნველყოფის მაჩვენებელი 95.4-ია<sup>5</sup>, რაც საქართველოს მასშტაბით მცხეთა-მთიანეთის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია<sup>6</sup>.

1 UNICEF-ის კვლევა „საქართველო: ბავშვთა სიღარიბის შემცირება“, 2012  
 2 <http://mra.gov.ge/main/GEO#section/67> და ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობა საქართველოში, UNDP, 2013 (გვ. 29)  
 3 სამუშაო შეხვედრების დროს მოწოდებული ინფორმაცია  
 4 ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემები  
 5 2011 წლის შჯსდ სამინისტროს სტატისტიკა, დაავადებათა კონტროლისა და საზ. ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი  
 6 2011 წლის შჯსდ სამინისტროს სტატისტიკა, დაავადებათა კონტროლისა და საზ. ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გვ. 62







2011 წლის თებერვალ-ივნისში IOM-ისა და USAID-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, კახეთში სტაციონალურ სექტორში სპეციალისტ-ექიმების ნაკლებობაა. ეს პრობლემა კომპლექსურ მიდგომას ითხოვს, რომლის მოგვარებაშიც ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროებთან ერთად უმაღლესი სასწავლებლებიც აქტიურად უნდა ჩაერთონ. შესასწავლია სპეციალისტ-ექიმების სწავლის, დასაქმებისა და რეგიონში სამუშაოდ მოზიდვის შესაძლებლობა, ეს პრობლემა მხოლოდ თვითმმართველობის დონეზე ვერ გადაიჭრება.

საქსტატის მონაცემებით, 2012 წელს კახეთში სასწრაფო სამედიცინო დახმარება 56 317<sup>7</sup> ადამიანს გაენია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია (ჩამორჩება იმერეთს, ქვემო ქართლს, შიდა ქართლსა და აჭარას), რაც ალბათ, პირველ რიგში, სასწრაფო სამედიცინო მომსახურების ხარისხის ზრდისა და ეფექტური სახელმწიფო პროგრამის შედეგია.

ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით, კახეთში აივ-ინფექციისა და ჰეპატიტის ახალმა შემთხვევებმა იკლო. ასევე, შეიმჩნევა ტუბერკულოზის მკურნალობის დადებითი ტენდენციები, რაც ამ მიმართულებით არსებული სხვადასხვა საერთაშორისო და სახელმწიფო პროგრამების (ტუბერკულოზის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები) ეფექტური მუშაობის შედეგია.

ჯანდაცვის სექტორში არსებული სხვა პრობლემებია: სტაციონარული სექტორის ექიმების დაბალი ანაზღაურება, ხელფასების დაგვიანება, მოსახლეობის თვითმკურნალობისა და თვითმედიკაციის მაღალი დონე, თუმცა ამ პრობლემების გადაჭრა ისეთ ფაქტორებზეა დამოკიდებული, რომელიც ადგილობრივ დონეზე ვერ დარეგულირდება.

აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობის უფლებამოსილება მხოლოდ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების პროგრამის ხელშეწყობაა. 6 მუნიციპალიტეტის (ლაგოდეხი, ახმეტა, გურჯაანი, სიღნაღი, საგარეჯო, დედოფლისწყარო) მონაცემებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვა ლიმიტირებული უფლებებისა და მცირე ბიუჯეტის გამო ეფექტურად ვერ უმკლავდება არსებულ გამოწვევებს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის ბიუჯეტი ამ მუნიციპალიტეტებში ძალიან მწირია და 2009-2013 წლების მონაცემებით მთლიანი ბიუჯეტის 2%-ს არ აღემატება.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების უმეტესობა კონკრეტული დაავადებების შემცირებისკენაა მიმართული, რეგიონში გავრცელებულია ბრუცელოზი, ტუბერკულოზი (ახმეტის, ლაგოდეხის, სიღნაღის, გურჯაანისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში), ცოფი (დედოფლისწყაროს და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში)<sup>8</sup>. ხშირია სასმელი წყლით გამოწვეული დაავადებები. მაღალია ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარების დონე, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ასევე, პრობლემაა ქარბი წონა.

2011 წლის მონაცემებით, ავთვისებიან სიმსივნეთა გავრცელების რაოდენობით კახეთი მესამე ადგილზეა შიდა ქართლისა და იმერეთის შემდეგ<sup>9</sup>. რეგიონის მოსახლეობაში საკმაოდ მაღალია ანემიის გავრცელების დონე<sup>9</sup>. ენდოკრინოლოგიური სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული დაავადებებით კახეთი, იმერეთისა და აჭარის შემდეგ, მესამე ადგილზეა. რეგიონში იოდის ნაკლებობის გამო მოსახლეობაში ხშირია ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია.

7 2011 წლის შვედ სამინისტროს სტატისტიკა, დაავადებათა კონტროლისა და საზ. ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გვ. 60  
 8 2011 წლის ჯანდაცვის სამინისტროს სტატისტიკა, დაავადებათა კონტროლისა და საზ. ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გვ. 111  
 9 2011 წლის ჯანდაცვის სამინისტროს სტატისტიკა, დაავადებათა კონტროლისა და საზ. ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გვ. 122





### განათლება

განათლება ადამიანთა შემდგომი ცხოვრების ხარისხს განაპირობებს, ვინაიდან მიღებული ცოდნა და განვითარებული საჭირო უნარ-ჩვევები დასაქმებისთვის აუცილებელი წინაპირობაა.

კახეთში განათლების სისტემის ყველა საფეხურია წარმოდგენილი. 2013 წლის მდგომარეობით, რეგიონში 206 ბაგა-ბაღი, 192 სკოლა (მათ შორის ძირითადად საჯარო სკოლებია, თუმცა რამდენიმე კერძო სკოლაც არის), 2 სახელმწიფო პროფესიული კოლეჯი და 1 სახელმწიფო უნივერსიტეტი. მოსახლეობის 18%-ს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, ხოლო 32% კი პროფესიული განათლების მქონეა.

კახეთის რეგიონის საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა და აღმზრდელთა თანაფარდობა საშუალოდ სტანდარტის შესაბამისად 12/1-ზეა და არათანაბრადაა გადანაწილებული მუნიციპალიტეტების მიხედვით (ყველაზე მაღალია გურჯაანში (21/1) და ყველაზე დაბალია სიღნაღში – 10.48/1). გარემონტებული და აღდგენილია ბაგა-ბაღების 40%, მაშინ როდესაც ბაღები მაღალი დატვირთვით მუშაობენ<sup>10</sup>.

2006-2012 წლებში კახეთის რეგიონის საშუალო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა კლების ტენდენციით ხასიათდება<sup>10</sup>: ზოგიერთ მუნიციპალიტეტში (მაგ. გურჯაანი, ყვარელი, თელავი) რაოდენობის მკვეთრი კლება შეინიშნება, თუმცა რიგ მუნიციპალიტეტებში (ახმეტა, დედოფლისწყარო, საგარეჯო, სიღნაღი) შემცირება მხოლოდ ორი ასეულის ფარგლებში მერყეობს. მიუხედავად იმისა, რომ კახეთის საჯარო სკოლები ბრენდირების სისტემით 7-8-ვარსკვლავიან კატეგორიაშია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემების მიხედვით, სკოლების 28% ჯერ კიდევ რეაბილიტაციას საჭიროებს, სრულად განახლებულია სკოლების 18%, ხოლო ნახევრად რეაბილიტირებულია კახეთის სკოლების 53,51%. სკოლების ინფრასტრუქტურა ყველაზე უკეთ ყვარლის მუნიციპალიტეტშია მოწესრიგებული, ხოლო გურჯაანსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში ამ მხრივ ყველაზე არასახარბიელო სიტუაციაა.

კახეთის რეგიონის 2 პროფესიული კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო ბაზები დამაკმაყოფილებელია. თავად პროფესიული სასწავლებლების მიერ მონოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2006-2012 წლებში ორივე პროფესიულ კოლეჯში მოსწავლეთა რიცხვი მერყეობდა, თუმცა ზრდის ტენდენციით გამოირჩეოდა, რაც მოსახლეობაში პროფესიული განათლების პოპულარობის ზრდაზე მეტყველებს. სასწავლებლების მონაცემების თანახმად, კოლეჯების კურსდამთავრებულთა 40% პირველივე წელს პროფესიის შესაბამისად საქმდება. თუმცა, 2011 წლის თებერვალ-ივნისში IOM-ისა და USAID-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, „კახეთში არ ისწავლება ისეთი მოთხოვნადი სპეციალობები, როგორცაა მიმტანი, მცხობელი, შემდუღებელი, გამყიდველ-კონსულტანტი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მექანიკოსი, მელიორატორი, ზოოტექნიკოსი (კურსი ისწავლება მხოლოდ თელავის პროფესიულ კოლეჯში „პრესტიჟი“) და სხვა“<sup>11</sup>. ამავე კვლევაში საუბარია უმაღლესი განათლების მქონე კადრების დასაქმების პრობლემაზე. კვლევის მიხედვით, კახეთში ყველაზე მოთხოვნადი და ამავე დროს, დეფიციტურია შემდეგი პროფესიები: აგრონომი, უცხო ენის სპეციალისტი (თარჯიმანი), პროექტის, საფინანსო და

10 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური მონაცემები, იხ. ცხრილი „განათლება“  
11 წყარო: საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდება - 2011 წლის თებერვალ-ივნისში ჩატარებული კვლევის შედეგები | IOM, USAID







მარკეტინგის მენეჯერი, სხვადასხვა სპეციალისტი-ექიმი, ინჟინერ-მშენებელი (გზების, ხიდების, შენობების), ინჟინერ-მექანიკოსი, სასტუმროს მენეჯერი, ფარმაცევტი, ფარმაკოლოგი, სხვადასხვა საგნის პედაგოგი, ენტომოლოგი (მცენარეთა დაცვის სპეციალისტი) და ნიადაგმცოდნე<sup>12</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ანალოგიური კვლევა, რომელიც კახეთში შრომის ბაზარს შეისწავლიდა, არ არსებობს.

კახეთის რეგიონის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელს აკადემიური სწავლების სამივე საფეხური აქვს: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია ოთხი კეთილმოწყობილი სასწავლო კორპუსი და გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. თუმცა, უნივერსიტეტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2006-2011 წლებში, რეფორმის შემდეგ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა რაოდენობის კლების ტენდენციაა, მაქსიმალური მაჩვენებლით 2101 (2006-07 წლებში) და მინიმალური მაჩვენებლით 1189 (2007-08 წლებში). ამჟამად, უნივერსიტეტში სახელმწიფო დაფინანსებით 348 სტუდენტი სწავლობს, ანუ სტუდენტთა 21%, ხოლო დანარჩენი 79% კი თავად ფარავს სწავლის საფასურს.

კახეთში არაფორმალური განათლებისთვის საკმაოდ კარგი ბაზაა: 91 ბიბლიოთეკა, 30 მუზეუმი და 46 კულტურის სახლი. არის სხვადასხვა სპორტული ბაზებიც, სამუსიკო თუ სამხატვრო სკოლები, ხელნაკეთობათა სახელოსნოები, თუმცა ამ ობიექტების უმეტესობა გაურემონტებელია.

კერძო ტრენინგ-ცენტრებსა და სასწავლო კურსებზე კახეთის მასშტაბით ზედმინევენიტი ინფორმაციის მოძიება შეუძლებელია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ასეთი სასწავლო კურსები თელავში აქვს ე.წ. მრავალპროფილიან „თარჯიმანთა ბიუროებს“, რომლებიც ზრდასრულ მოსახლეობას კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა კურსებს სთავაზობენ (მაგალითად, საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი შესაბამისი კომპიუტერული პროგრამებით, უცხო ენები, კომპიუტერული პროგრამები და ა.შ.). უმეტეს შემთხვევაში, გასაგებ მიზეზთა გამო, კერძო ტრენინგ-ცენტრები ნაკლებად კაპიტალტევად სპეციალობებს ირჩევენ, რათა ამან გავლენა არ იქონიოს სწავლების საფასურსა და მსმენელთა რაოდენობაზე. მათი სასწავლო პროგრამები შეზღუდულია და არ პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, არადა პროფესიული მომზადების ეს რგოლი, როგორც წესი, მეტი მოქნილობითა და მობილურობით უნდა გამოირჩეოდეს და სწრაფად რეაგირებდეს შრომის ბაზრის საჭიროებებზე. შედარებით მაღალი ხარისხის კურსების პროვაიდერია შპს „ცოდნა“, რომლის ფილიალიც, ასევე, თელავშია.

ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემა ცენტრალური მთავრობის უფლებამოსილებაა, რეგულირდება საქართველოს კანონით ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლების შესახებ და ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. სკოლამდელი განათლება „საქართველოს თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

### III. რეგიონის ეკონომიკური განვითარება

#### ეკონომიკა (სოფლის მეურნეობის გარდა)

##### ნარმოება

კახეთის აგრარული პროფილიდან გამომდინარე, არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის წილი უმნიშვნელოა, როგორც რეგიონში ნარმოებულ დამატებით ღირებულებაში, ისე ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში. რეგიონის მონო-აგრარული სპეციალიზაციის შედეგად ურბანიზაციის დონე კახეთში დაბალია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ უახლოეს მომავალში კახეთის ეკონომიკის ფოკუსის გადატანა ინდუსტრიაზე არ მოხდება. სოფლის მეურნეობის წილი რეგიონის დამატებით ღირებულებაში 2011 წლის მდგომარეობით 24%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც მრეწველობის წილი მხოლოდ – 9% იყო, ვაჭრობის – 5%, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის – 1.2%, მშენებლობის კი – 1.7%. აღსანიშნავია, რომ ტურიზმის წილის შესახებ მონაცემები არ არსებობს, სხვადასხვა მომსახურების სფეროს წილი კი 2011 წელს მაღალი იყო და 20%-ს შეადგენდა. დანარჩენი დარგების ერთობლივმა წილმა 38% შეადგინა.

ბოლო წლებში მშენებლობის მასშტაბის ზრდამ რეგიონში ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე საშენი მასალების (აგური, კრამიტი, სამშენებლო ბლოკი და სხვა) ნარმოების განვითარებას შეუწყო ხელი. რეგიონში მოქმედებს სამთომომპოვებელი და გადაამამუშავებელი საწარმოები: ფიქალ-მარმარილოს მოპოვება-გადამუშავება თელავის მუნიციპალიტეტებში, კირქვის მოპოვება-გადამუშავება კი – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში. ამ კირქვით რუსთავის ცემენტის ქარხანა მარაგდება, თუმცა რიგი სიძნელეები ამ ქვედარგის განვითარებას აფერხებს. მათ შორის ის, რომ ფინანსური რესურსები ძვირია, ხოლო საფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელი ძირითადად ვაჭრობაზე გაცემული სესხებისგან შედგება, რაც ნარმოების სექტორში საკრედიტო რესურსების სიმცირეზე მიუთითებს. ასევე,

<sup>12</sup> საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდება - 2011 წლის თებერვალ-ივნისში ჩატარებული კვლევის შედეგები | IOM, USAID. გვ. 73-74





დაინტერესებულ პირებს საშუალება არა აქვთ, წარმოების ოპტიმიზაციასა და განვითარებასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე მიიღონ რჩევები, როგორც არის მაგალითად: საკრედიტო და საგადასახადო საკითხები, ბიზნეს გეგმები, საქონლის მარკეტინგი და ა.შ.

### ტურიზმი

კახეთის ისტორიული ძეგლების ტერიტორიული კონცენტრაცია, სახელმძოხვეჭილი მელვინეობის კერები, ბუნებრივი რესურსები, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა და გეოგრაფიული მდებარეობა რეგიონში ტურიზმის განვითარების უდიდეს პოტენციალს განაპირობებს, შესაბამისად, ტურიზმს დიდწილად შეუწყობს ხელს მომსახურების სფეროს განვითარება.

კახეთის რეგიონში აქტიურად ფუნქციონირებს 30-მდე სხვადასხვა დონის სასტუმრო (მათ შორის ისეთი ძვირადღირებული, როგორც „ამბასადორი“, „ლოპოტა“, „ძველი თელავი“, „ყვარლის ტბა“), 100-ზე მეტი მცირე სასტუმრო და საოჯახო სახლი, 70-მდე კვების ობიექტი, რესტორანი, კაფე-ბარი, პიცერია და სხვა (მაგრამ საქართველოში მოქმედი ანალოგიური ობიექტების მხოლოდ 3.4%-ია) და 15 ტურისტული კომპანია. რეგიონში ვიზიტორის (ტურისტის) განთავსების ღირებულება 10-15 ლარიდან 350 ლარამდე მერყეობს.

მომსახურების დონე, სტანდარტები და საკადრო დეფიციტი პრობლემას წარმოადგენს თვით ძვირადღირებული სასტუმროებისთვისაც. აგრეთვე, უნდა ითქვას, რომ სტატისტიკის სამსახურებს სასტუმროების მეპატრონეები არ აწვდიან ღამისთევების ზუსტ მაჩვენებელს, ამიტომ რეგიონის სასტუმროების ვიზიტორების საერთო ციფრების დადგენა გართულებულია.

2013 წელს მოსალოდნელია თელავის მიმართულებით ტურისტული ნაკადის მნიშვნელოვანი გაძლიერება (სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად ახალი თელავის მიმართ ინტერესი იზრდება), თუმცა ტურისტები ძირითადად დაბალმხარჯველობით სეგმენტს წარმოადგენენ. შესაბამისად, მაღალმხარჯველობითი სეგმენტის ათვისება ამ რეგიონის გამოწვევად რჩება.

კახეთის ბუნებრივი მრავალფეროვნება რეკრეაციული ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას ქმნის ახმეტის, გურჯაანის, თელავის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში. მნიშვნელოვანია სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება ახმეტის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში, ეკოტურიზმის განვითარება ახმეტის, დედოფლისწყაროსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში, ხოლო აგროტურიზმის განვითარება კი კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში.







რეგიონის პოტენციალის გამოყენების შემთხვევაში რეალური გახდება ისეთი ტურისტული მომსახურების პროდუქტების განვითარება, რომლის საფუძველს კახური ღვინის წარმოების უნიკალური ტექნოლოგია და რეგიონის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა წარმოადგენს. განსაცვიფრებელი პეიზაჟები და დაცული ტერიტორიები მთებში ლაშქრობების, საცხენოსნო ტურებისა და ველოტურების მოსაწყობად კარგ შესაძლებლობას ქმნის.

რეგიონში მრავლად არის წარმოდგენილი წინაქრისტიანული ძეგლები (მაგ. გარეჯის უდაბნოში აღმოჩენილია კავკასიის უძველესი ქალაქების ნაშთები რეგულარული გეგმარებით, რომლებიც ჩვ.წ. აღმდე XIV-IX საუკუნეებით თარიღდება. გურჯაანსა (ახტალა) და საგარეჯოში (უჯარმა) ბალნეოლოგიური კურორტებია, რომელთა პოტენციალი გამოსაკვლევიანია. აქვე აღსანიშნავია იშვიათი მიკროკლიმატის ადგილების კვლევის აუცილებლობა და ტურისტულ მიმართულებებზე ჩამოყალიბება (მაგ: მთა ცივი, კოდის მთა, რომლის მიკროკლიმატი არ ჩამოუვარდება ბაკურიანისას, სოფ. მარიაძვეარი (საგარეჯო) და ა. შ.).

ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია ახალი მარშრუტების შესწავლა და მთელი რიგი მარკეტინგული ღონისძიებების გატარება, რაც ამ სფეროში მომუშავე ადამიანების ერთობლივ ჩართულობას მოითხოვს. დარგის შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ასევე, დარგის ინტერესების ლობირებისთვის მიზანშეწონილია რეგიონში ტურისტული პროფესიული ასოციაციის(ების) შექმნა.

## ინვესტიციები

კახეთში ინვესტიციების მოზიდვა საჭიროა იმ დარგებში, რომელსაც მოსახლეობის დასაქმების, ადგილობრივი ბაზრის ათვისებისა და საექსპორტო პოტენციალი გააჩნია, კერძოდ, აგროწარმოებასა და ტურიზმში. ინვესტიციები დარგების განვითარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან დაფინანსებასთან ერთად მათ თან ახლავს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და ადამიანური რესურსების ოპტიმიზაცია. აგრომრეწველობის შემთხვევაში ინვესტიციები მიმართული უნდა იყოს წარმოებაში, ირიგაციის სისტემის რეაბილიტაციაში და ასევე, ლოჯისტიკური ჯაჭვის აწყობაში, რომელიც მწარმოებელს, შუამავალ რგოლებსა და საბოლოო მომხმარებლებს დააკავშირებს. აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვა რიგ სანარმოებში, მაგალითად, როგორც არის სამშენებლო მასალების წარმოება, თუკი წინასწარი შესწავლა ამის მიზანშეწონილობას დაადასტურებს. ენერგომატარებლების ღირებულების შემცირებისა და ხელმისაწვდომობის მიზნით მიზანშეწონილია ინვესტირება ალტერნატიული ენერჯის წყაროებში.

## სოფლის მეურნეობა

### რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები

ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 38% კახეთის რეგიონშია. განსაკუთრებით დიდია სახნავი და სათიბ-საძოვარი სავარგულების მოცულობა, ამ კატეგორიის სავარგულების მიხედვით კახეთი პირველ ადგილზეა საქართველოში, რის გამოც იგი მემარცვლეობისა და მეცხოველეობის წამყვანი რეგიონია.

კახეთში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიდიდით გამორჩეულია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, მას მოსდევს ახმეტა, საგარეჯო და სიღნაღი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში და გრაფიკზე მკაფიოდ ჩანს თითოეული მუნიციპალიტეტის სავარგულების მონაცემები და მათი განაწილება. დღემდე მიწის მესაკუთრეთა მხოლოდ 20-25%-ს აქვს დარეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, დანარჩენ ნაწილს კი არ აქვს მიწის დასარეგისტრირებლად საჭირო თანხა. ფერმერებთან ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, დადგინდა, რომ მიწის მესაკუთრეთა მხოლოდ 2-4%-ს აქვს დარეგისტრირებული როგორც საკუთრება და ამ მიწაზე სტაბილურად აწარმოებს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურას. მესაკუთრეობის თაობაზე ხშირია დავები მოქალაქეთა შორის ან მოქალაქეთა და სახელმწიფოს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ ფერმერები სათანადოდ არ უვლიან ნიადაგს, საკმარისად არ ამდიდრებენ მას მინერალური თუ ორგანული სასუქებით, მოუვლელობის გამო მიწები დაბინძურებულია სარეველა ბალახით. საძოვრებზე, ცხოველთა დიდი რაოდენობის ძოვების გამო, დაწყებულია გაუდაზნობის პროცესი, განსაკუთრებით საგარეჯოსა და დედოფლისწყაროში. სასოფლო-სამეურნეო მიწების მრავალ უბანზე მიმდინარეობს ნიადაგის წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია.

კახეთის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის მდინარე ალაზანი საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო მონაკვეთზე. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მდინარემ 100 ჰექტარზე მეტი სახნავი და საძოვარი მიწები ჩარეცხა და ამ ტიპის დანაკარგი ყოველწინურად მატულობს, შედეგად ადგილობრივი მოსახლეობა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს კარგავს მეცხოველეობიდან და სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებიდან. საშიში გახდა მიწისქვეშა მავნებლების





(განსაკუთრებით კავკასიის მარმარა ღრაჭა) გავრცელება კახეთის ნიადაგებში, რომელიც ახალშენ ვენახს აზიანებს. ამის გამო ამ სფეროს განვითარებისკენ მიმართული ძალისხმევა წარუმატებლად მთავრდება. მიუხედავად იმისა, რომ 2009-2011 წლებში სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს მიერ კალიების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები ჩატარდა, რეგიონში მაინც დარჩა გარკვეული უბნები, სადაც ეს საშიშროებები არ შესრულებულა.

სავარგულების ინვენტარიზაციითა და მესაკუთრეობის დადგენით მოიხსნება დავების პრობლემა, ფერმერებს გაუჩნდებათ ნიადაგის მოვლისა და გამდიდრების მოტივაცია, გრძელვადიან პერიოდში არსებული სავარგულების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა გაჩნდება.

### მევენახეობის და მელვინეობის სექტორი

კახეთი მევენახეობა-მელვინეობის უძველესი და უნიკალური რეგიონია. აქ მდებარეობს მევენახეობის უნიკალური მიკროზონები, სადაც ტრადიციულად ინარმოება წარმოშობის ადგილის დასახელებისა და სხვა მაღალხარისხის მქონე ქართული ღვინოები.

დღეს საქართველოს ვენახების 65-70% კახეთშია კონცენტრირებული. ვენახის (33 582 ჰა) ფართობის მიხედვით კახეთი პირველ ადგილზეა, მას იმერეთი და შიდა ქართლი მოსდევს.

კახეთში ვენახების მთლიანი ფართობი 33 582,5 ჰექტარს შეადგენს. ვენახების ფართობის სიდიდით გამოირჩევა გურჯაანი – 7618 ჰა, მეორე ადგილზეა ყვარელი – 6382 ჰა, მესამეზე კი – თელავი 6048 ჰა. ყველაზე მცირე ფართობები აქვს დედოფლისწყაროს – 1498,5 ჰა და ახმეტას – 1747 ჰა.

კახეთში დღეს არსებული ვენახების 50-60% საბჭოთა პერიოდშია გაშენებული, დანარჩენი ნაწილი კი – 1994-1995 წლებიდან დღემდე. ვაზის ძველ ნარგავებში დიდია მეჩხერიანობა, რის გამოც დაბალია საჰექტარო მოსავლიანობა და ყურძნის ხარისხი (2-2,5 ტონა/ჰა არ აღემატება), რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ საქართველოში დარეგისტრირებული ადგილწარმოშობის 18 დასახელების ღვინიდან 14 მხოლოდ კახეთში ინარმოება.

ქართული ღვინის ექსპორტი 2006 წლიდან 2009 წლამდე რუსეთის ემბარგოს შედეგად მკვეთრად შემცირდა, ხოლო შედარებით სტაბილური ზრდა მხოლოდ 2010 და 2011 წლებშია.

ქართული ღვინო ექსპორტზე ძირითადად ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში გადის. 2005-2012 წლებში ყველაზე მეტი გაიყიდა უკრაინაში, ყაზახეთსა და ბელორუსიაში, ყველაზე ნაკლები კი – ყირგიზეთში, თურქმენეთში, უზბეკეთსა და მოლდავეთში.

საქართველოდან ექსპორტზე გადის ყურძნისეული წარმოშობის სხვა ალკოჰოლური სასმელებიც, კერძოდ: ბრენდის /კონიაკი/ და ჭაჭის არაყი. 2009-2012 წლებში ამ პროდუქციის ძირითადი ბაზარი 10 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა. აქ ქართულ ბრენდს და ჭაჭის არაყს სტაბილურად მზარდი ჯამური გაყ-







იდევები აქვს, თუმცა გაყიდვების ზრდა მხოლოდ უკრაინაში, ბელორუსიასა და უზბეკეთშია, დანარჩენ ქვეყნებში კი ექსპორტს ფრაგმენტული, კლებადი და არასტაბილური ხასიათი აქვს.

ჩამოსასხმელი სახით ღვინო მასალების ექსპორტში წამყვანი ადგილი ისევ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს უკავია. ამ კატეგორიის პროდუქციის ექსპორტის ყველაზე დიდი წილი უკრაინაზე, ბელორუსიაზე, აზერბაიჯანსა და სომხეთზე მოდის. 2009-2012 წლებში ექსპორტი ზრდადი და სტაბილურია. ჩამოსასხმელი ღვინო ექსპორტზე მცირე რაოდენობით გადის ტაჯიკეთში, ყირგიზეთსა და ლატვიაში. 2009 და 2010 წლებში პოსტსაბჭოთა ქვეყნების გარდა ჩამოსასხმელი ღვინო ექსპორტზე გავიდა მხოლოდ ჩინეთში, თუმცა 2011 წელს გაყიდვები შეწყდა.

ქართული ღვინის ექსპორტში ყველაზე მნიშვნელოვანი წილი ადგილწარმოშობის (ა/წ) დასახელების ღვინოებზე მოდის, რომლებიც განსაკუთრებული მევენახეობის სპეციფიკურ ზონებში ინარმოება და მომხმარებელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. 2009-2012 წლებში ა/წ ღვინოების ექსპორტი მზარდია და 3,2 მლნ ბოთლიდან 6 მლნ ბოთლზე გაიზარდა. ა/წ ღვინოებს ქართული ღვინის მთლიან ექსპორტში სტაბილური წილი უკავია, რომელიც 27,4-29,5% შორის მერყეობს, ხოლო ა/წ ღვინოების მთლიან ექსპორტში კახეთში წარმოებულ ა/წ ღვინოებს 79-82% უკავია. კახეთში მრავალი საოჯახო ღვინის მარანია, რომელიც მცირე და საშუალო ზომის ღვინის წარმოებას წარმოადგენს. მარნების ნაწილი ტრადიციული არქიტექტურით არის აშენებული, სადაც თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარებია დამონტაჟებული, თუმცა საწარმოების უმრავლესობა მაინც კუსტარულია. საოჯახო მარნების მიერ წარმოებული ღვინის რეალიზაცია წელიწადში 40-160 ტონას შეადგენს. რეალიზაციიდან მიღებული თანხა შინამეურნეობებისთვის საკმაოდ კარგი შემოსავლის წყაროა. მცირე მწარმოებლებს უჭირთ წარმოების გაფართოება, ღვინის ხარისხის უზრუნველყოფა და სარეალიზაციო ბაზრის ათვისება. თანამედროვე ტექნოლოგიების არცოდნა საოჯახო ღვინის მარნების განვითარებისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს. საოჯახო მარნებს სერიოზულ კონკურენციას უწევენ ღვინის მსხვილი კორპორაციების მიერ დაარსებული საწარმოები. ამიტომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მცირე და საშუალო ზომის მეღვინეობის განვითარებას. ექსპორტის პოტენციალის ზრდისა და მცირე და საშუალო წარმოების განვითარებისთვის საჭიროა არა მარტო ბაზრის ათვისება, არამედ ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული ქმედებები.

### მარცვლადი კულტურების წარმოების საქმური

მარცვლადი კულტურების წარმოებას კახეთში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, რასაც საფუძვლად მინის ნაყოფიერება და მარცვლადი კულტურების მრავალფეროვნება უდევს. ხორბლის ნათესი ფართობისა და წარმოების თვალსაზრისით კახეთი წამყვანი რეგიონია საქართველოში.

სხვა რეგიონებთან შედარებით კახეთში ყველაზე მეტი ფართობი ხორბლის ნათესებს უკავია, თუმცა წლების მიხედვით მისი ფართობი თანდათან იკლებს. 2007 წელს კახეთში, ყველაზე მეტი, 62 ათასი ტონა ხორბალი აწარმოეს, 2009 და 2010 წლებში მოსავლის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, ხოლო 2012 წელს კვლავ გაიზარდა.

**ხორბლის წარმოება რეგიონების მიხედვით, ათასი ტონა**

რეგიონი/წელი	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
საქართველო	69,7	74,9	80,3	53,9	48,4	96,8	80,7
შიდა ქართლი	8,5	4,7	11,3	19	11,1	23,8	8,5
კახეთი	42,7	62	52,7	22,2	23,6	47,1	53
ქვემო ქართლი	14,1	5,5	12,4	8,7	9,8	17,3	14,9
სხვა რეგიონები	4,4	2,7	3,9	4	3,9	8,6	4,3
კახეთის წილი, %	61,3	82,8	65,6	41,2	48,8	48,7	65,7

წყარო: საქსტატი

მიუხედავად იმისა, რომ კახეთში, ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით, ხორბლის ნათესი ფართობი მეტია, ძალიან დაბალია მისი საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა. კახეთის რეგიონში სათესლე ხორბლის წარმოების და სათესლე მეურნეობების საქმიანობის სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, თუმცა ქვეყნის მასშტაბით სათესლე ხორბლის გამოყენების მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ რა რაოდენობით გამოიყენება რეგიონში სათესლე ხორბალი. კახეთში ფართოდ გავრცელებული ჯიშებია: უფხო 1, კოპერი, სპარტანკა და ა.შ.

კახეთში საშემოდგომო მარცვლადი კულტურებიდან მეორე ადგილზეა ქერის კულტურა, რადგან იგი ცხოველთა ძირითად საკვებად გამოიყენება. ადგილზე წარმოებულ ქერს ქართული ლუდის მრეწველობა არ იყენებს და მხოლოდ იმპორტირებულ ნედლეულზეა ორიენტირებული.





2006-2011 წლების შედარებისას ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ კახეთში მეტ-ნაკლებად სტაბილურია სიტუაცია ქერის ნათესების მხრივ, ხოლო სამცხე-ჯავახეთში გარკვეული კლება შეინიშნება, თუმცა წარმოებული ქერის ოდენობით კახეთი მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ამ რეგიონს. გამომდინარე იქიდან, რომ ორივე რეგიონი მეცხოველეობის უმსხვილესი მხარეებია, ქერის წარმოება აქ საკმაოდ პრიორიტეტულია და წარმოების გაზრდის დიდი პოტენციალიც არსებობს. დედოფლისწყაროს და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ფერმერებს ქერი შედარებით დიდი რაოდენობით მოჰყავთ, კახეთის სხვა მუნიციპალიტეტების ფერმერები კი ქერის კულტურას საკუთარი პირუტყვის საკვებად აწარმოებენ.

**ქერის წარმოება რეგიონების მიხედვით, ათასი ტონა**

რეგიონი/წელი	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
საქართველო	30,6	40,3	49,3	19,9	23,3	30,3	20,7
შიდა ქართლი	3	6,2	4,7	3,6	3,3	9,5	7,3
კახეთი	12,4	12	18,7	3	6,7	9,4	5,9
ქვემო ქართლი	4,4	2,2	0,6	1,3	0,4	0,8	2,9
სამცხე-ჯავახეთი	10,2	19,7	24,6	11,6	12,9	10,4	4,1
სხვა რეგიონები	0,6	0,2	0,7	0,4	0	0,2	0,5
კახეთის წილი, %	40,5	29,8	37,9	15,1	28,8	31,0	28,5

წყარო: საქსტატი

სიმინდი უმნიშვნელოვანესი კულტურაა საქართველოში. 2006 წლიდან კახეთი სიმინდის ნათესი ფართობით მესამე ადგილზეა რეგიონებს შორის და მხოლოდ იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთს ჩამორჩება.

რეგიონში სიმინდის კულტურას ძირითადად მეცხოველეობის სექტორში იყენებენ, უმნიშვნელოა ე.წ. თეთრი სიმინდის წარმოების მაჩვენებელი. სიმინდის ღერო კი ზამთარში ცხოველთა საკვებად გამოიყენება, მისგან სილოსს ამზადებენ. დარაინებული და მაღალკონდიციური სათესლე მასალა მკვეთრად გაზრდის სიმინდის წარმოების მოცულობას და ფერმერთა შემოსავალს.

2010 წლიდან კახეთში სიმინდის წარმოება სახელმწიფოს მიერ იქნა სტიმულირებული. ქვეყანაში იმპორტით შემოვიდა სიმინდის ჰიბრიდული ჯიშები კომპანია „პიონერი“-სგან. ეს სიმინდი ხელშეკრულებით და სათანადო პირობებით დაურიგდათ ადგილობრივ ფერმერებს. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში კი მოენწყო სიმინდის საშრობი საწარმო სრული ტექნოლოგიური ციკლით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა პროგრამამ ფერმერთა მოლოდინი ვერ გაამართლა, წარმოებული სიმინდი სპირტის რექტიფიკატის წარმოებისთვის გამოიყენეს. დღეს ყვარელსა და თელავში არსებული სპირტის მწარმოებელი ფირმები ადგილზე წარმოებულ სიმინდსა და მცირე რაოდენობით ხორბალს სწორედ ამ დანიშნულებით იყენებენ.

მზესუმზირა კახეთის რეგიონისთვის მნიშვნელოვანი ტექნიკური კულტურაა, განსაკუთრებით დედოფლისწყაროს და სიღნაღის მუნიციპალიტეტებისთვის. ტრადიციულად, ამ კულტურის წარმოება მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო იყო, როგორც ფერმერული მეურნეობების, ასევე, შინამეურნეობებისთვის. ბოლო 10 წლის განმავლობაში მზესუმზირის ნათესი ფართობები მკვეთრად შემცირდა და დღეს მას მხოლოდ მცირე ფართობი უკავია.





## მზესუმზირის ნათესი ფართობები

მუნიციპალიტეტი	სახნავი მიწა სულ, ჰა	მზესუმზირის ნათესი ფართობი, ჰა	მზესუმზირის ნათესი ფართობის წილი სახნავი მიწის საფარულში, %
ახმეტა	16354	885	5,4
გურჯაანი	19288	205	1,1
დ/წყარო	50514	3306	6,5
თელავი	16327	243	1,5
ლაგოდეხი	24971	70	0,3
საგარეჯო	29575	865	2,9
სიღნაღი	22675	2169	9,6
ყვარელი	16534	52	0,3
სულ	196237	7795	4,0

*წყარო: პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია კახეთის რეგიონში*

მზესუმზირის ნათესი ფართობი მნიშვნელოვნად არის შემცირებული. დაბალია საჰექტარო მოსავლიანობის მაჩვენებელი – 700-950 კგ/ჰა და წარმოებული პროდუქციაც. მზესუმზირის წარმოებას, ისე როგორც დანარჩენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, შინამომხმარების ხასიათი აქვს, თანაც ორი დანიშნულებით: პირველი სათესლედ – კვლავწარმოებისთვის, ხოლო მეორე მზესუმზირის ზეთის წარმოებისთვის. კახეთის სოფლებში არსებულ „კუსტარულ“ ზეთსახდელებში მზესუმზირის ზეთი საკვები დანიშნულებით იწარმოება, ხოლო მისი ნარჩენისგან „კოპტონი“ მზადდება, რომელიც ცხოველებისა და ფრინველებისთვის მაღალკალორიული საკვებია.

2004-2005 წლებში კახეთში 35 ათას ჰექტარზე მეტი მზესუმზირა ითესებოდა, აქედან მზესუმზირის ნათესი ფართობის 45-50%, ანუ 17 ათასი ჰექტარი დედოფლისწყაროში იყო. მცირემოსავლიანობის მიუხედავად, მზესუმზირის წარმოების მხრივ, დედოფლისწყარო მაინც წამყვანი ზონა იყო და არის. იყო პერიოდი, როცა საქართველოში წარმოებული მზესუმზირის 80-85% კახეთზე, ძირითადად კი დედოფლისწყაროზე მოდიოდა.

მზესუმზირის წარმოებას დიდი პოტენციალი გააჩნია, რადგან ადგილობრივ ბაზარზე ყოველწლიურად იზრდება მცენარეულ ცხიმზე მოთხოვნა, რაც ძირითადად იმპორტის ხარჯზე კმაყოფილდება. დღეს მზესუმზირის წარმოების ძირითადი წილი 95-98% ოჯახურ მეურნეობებზე მოდის, დანარჩენი 2-5% კი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს უკავიათ.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაკეთებული იმპორტ-ექსპორტის 2010 წლის შედარებით ანალიზით, მცენარეული ზეთი იმპორტით 51 ქვეყნიდან, ძირითადად კი უკრაინიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან შემოდის. 2007 წელს ქვეყანაში იმპორტირებული ზეთი მთლიანი მოხმარების 96%-ს შეადგენდა, ხოლო ადგილობრივი წარმოების ზეთი კი – 4%-ს. მცენარეული ზეთის ადგილობრივი მწარმოებლები არიან: შ.პ.ს. „ქარვა“, შ.პ.ს. „მამონტი“, შ.პ.ს. „ბათილი“, შ.პ.ს. „გეორგი“ და სხვები, აქედან ქართული ბრენდები მხოლოდ „ქარვა“ და „ოქროს კანდელია“.

ცხრილიდან კარგად ჩანს იმპორტირებულ მცენარეულ ზეთსა და ადგილობრივ წარმოებას შორის არსებული მკვეთრი სხვაობა. მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტის მაჩვენებელი 2007 წელს 1100 ტონას აღწევს, ამავე პერიოდში საკმაოდ დიდია იმპორტირებული მცენარეული ზეთის რაოდენობა – 31 385 ტონა.

დღეს მზესუმზირის ზეთის ადგილობრივი წარმოება ძალიან უმნიშვნელოა იმპორტირებულ ზეთთან შედარებით. ადგილობრივი მზესუმზირის ზეთი 1 ლიტრი 3-6 ლარი ღირს, რომელიც კუსტარულად მოწყობილ საწარმოებში იხდება. სამწუხაროდ, აქ გამოხდელი ზეთი იმპორტირებული სიმინდის ან სხვა კულტურიდან მიღებული ზეთის ფალსიფიცირებისთვის გამოიყენება, ანუ საქართველოში შემოტანილ უცხოურ მცენარეულ ზეთებს უმატებენ აქ წარმოებულ მზესუმზირის ზეთს და ადგილობრივ აგრარულ ბაზრებში იყიდება როგორც „მზესუმზირის ზეთი“.

კახეთის რეგიონში არსებობდა ძლიერი სათესლე და ჯიშთა გამოცდის მეურნეობები - ყოფილი მიწათმოქმედების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ულიანოვკის საცდელი მეურნეობა, აგრეთვე: ნნორის, ბაკურციხის, თელავის ჯიშთა გამოცდისა და სათესლე მეურნეობები, რომლებიც ფერმერებს დარაიონებული და ელიტური სათესლე მასალით უზრუნველყოფდნენ, მაგრამ დღეს ამ ტიპის მეურნეობები აღარ არსებობს. კახეთის რეგიონი, რომელსაც იმ კატეგორიის მიწის რესურსები გააჩნია, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მარცვლეული კულტურების მაღალ მოსავლიანობას და პროდუქციის უმაღლეს ხარისხს უზრუნველყოფს, დღეს სრულად არაა ჩართული ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფაში.





## ბოსტნეული და ბალჩეული კულტურები

კახეთი ბალჩეული კულტურების (მარწყვი, საზამთრო, ნესვი და გოგრა) წამყვანი რეგიონია საქართველოში. სოფლის მეურნეობის დარგებს შორის ბალჩეული კულტურების წარმოება ერთ-ერთი მაღალშემოსავლიანი სფეროა. ამ დარგს, ისე როგორც ბოსტნეულის წარმოებას, კახეთში ძალიან დიდი პოტენციალი გააჩნია.


2006-2011 წლებში კახეთში უმნიშვნელოდ მცირდება ნათესი ფართობი, წარმოებული პროდუქცია მხოლოდ 2007 წელსაა მაქსიმალური – 41 ათასი ტონა, ხოლო შემდგომ წლებში იგი სტაბილურად მცირდება.

კახეთი, კერძოდ კი ლაგოდეხის, ყვარლისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები მიწის თხილის /არაქისის/ მწარმოებელ ზონებს წარმოადგენენ. ამ ზონებს ძალიან დიდი პოტენციალი აქვთ, რადგან აქ არსებული ნიადაგი და მიკროკლიმატი მიწის თხილის (არაქისის) წარმოების გაფართოების შესაძლებლობას იძლევა. დღეს არაქისის წარმოებაში ხელით შრომა გამოიყენება, ხოლო სათანადო მექანიზაციის პირობებში, მაღალმოსავლიანი ჯიშებისა და მეცნიერების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით წარმოების მოცულობა მკვეთრად გაიზრდება. ამ კულტურის წარმოება მომგებიანია, რადგან მაღალი ფასი აქვს და ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნადია. ამ კულტურის სანედლეულო ბაზის გაფართოების შემთხვევაში ინვესტიციები ჩაიდება არაქისის გადამამუშავებელი და დამფასოებელი საწარმოების შექმნაში.

ბოსტნეულის წარმოების მხრივ რეგიონებს შორის წამყვანი პოზიცია, ტრადიციულად, ქვემო ქართლს უკავია, კახეთი კი მეორე ადგილზეა, თუმცა გამოწვევის იყო მხოლოდ 2010 წელი – 300 ჰექტარი.

ბოსტნეული კულტურების ძირითადი მწარმოებლები არიან ლაგოდეხის, გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტები. აქ არსებული მიკროკლიმატი, ნაყოფიერი ნიადაგები და ტრადიციები ამ დარგის მიმართ ადგილობრივი ფერმერების მაღალ ინტერესს განაპირობებს.

ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების წარმოება ყველაზე შემოსავლიანი საქმიანობაა სოფლის მეურნეობის დარგებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ამ სფეროში არსებული პრობლემები მოგების მიღების შანსებს ამცირებს. ცხრილის სახით წარმოდგენილია ამ დარგში არსებული პრობლემები, მათი გამომწვევი მიზეზები და შედეგები.







### მეკარტოფილეობა

დღეს კარტოფილი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა, რომელსაც მოსახლეობის კვების რაციონში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. კარტოფილის მწარმოებელი წამყვანი რეგიონები სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლია. მართალია, კახეთში მეკარტოფილეობას ძირითადად საოჯახო წარმოების ხასიათი აქვს, მაგრამ აქ არსებული ნაყოფიერი ნიადაგები და ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები, რითაც განსაკუთრებით გამოირჩევა თუშეთი და გომბორის უღელტეხილზე მდებარე სოფლები, ამ კულტურის წარმოების საშუალებას იძლევა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, მეკარტოფილეობის სექტორში კარტოფილის ადგილობრივ წარმოებას სხვადასხვა წელს 42,6-89,5% უკავია, 2006 წლიდან 2011 წლამდე პერიოდში დინამიკურად იზრდება, ხოლო იმპორტირებული კარტოფილის წილი კი მკვეთრად მცირდება და 2010 წელს 0,8%-ს იკავებს, თუმცა 2011 წელს 15,2%-მდე იზრდება.

საქსტატის მონაცემებით, ქვეყნის ბაზარზე კარტოფილის მოთხოვნას ნაწილობრივ აკმაყოფილებს ადგილობრივი წარმოება, ძირითადად – სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი.


მიუხედავად იმისა, რომ კარტოფილის ადგილობრივ ბაზარზე ეს რეგიონები დომინირებენ, კახეთსაც აქვს გარკვეული პოტენციალი, განსაკუთრებით ბიოკარტოფილის სეგმენტზე დამკვიდრებისა. დედოფლისწყაროს, თუშეთისა და გომბორის უღელტეხილზე მდებარე სახნავი მიწის სავარგულები დიდი პოტენციალის მქონე ზონებს წარმოადგენს არა მარტო კარტოფილის, არამედ სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ბიოპროდუქტების წარმოებისთვისაც.



### მეხილეობა

კახეთში მრავალი სახეობის ხილი იწარმოება, აქ არსებული აგროკლიმატური პირობები და ნაყოფიერი ნიადაგები მეხილეობის განვითარების კარგ საფუძველს იძლევა. ამ მხრივ დიდი პოტენციალი აქვს გურჯაანის, ლაგოდეხის, ნანწილობრივ თელავის, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებს. გურჯაანი, ძირითადად, ატმის მწარმოებელია, ლაგოდეხი კი — ხურმის, ქლიავის, ვაშლისა და სხვა სახეობის ხილის. შესანიშნავი სანედლეულო ბაზა აქვს საკონსერვო მრეწველობას, თუმცა იგი გაფართოებას და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად დივერსიფიცირებას საჭიროებს. თესლოვანი ხილის წარმოებაში კახეთს უმნიშვნელო ადგილი უკავია, ხოლო კურკოვანი ხილის წარმოებაში რეგიონებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს – 9,6-38% (2006-2011 წლებში).

კურკოვანი ხილის ძირითადი წილი მოდის ატმის კულტურაზე, რომლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.





აჭმის წარმოების მხრივ კახეთი წამყვანი რეგიონია საქართველოში, მისი წილი 39,6-76,8%-ს შორის მერყეობს. კახეთში აჭმის მწარმოებელი ძირითადი ზონა გურჯაანია, შემდეგ მოდის თელავი, სიღნაღი და ყვარელი. აჭმის წარმოება უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა. რეგიონში თესლოვანი ხილის წარმოებას ნაკლები ყურადღება ექცევა, თუმცა ამ თვალსაზრისითაც კახეთს საკმაოდ მაღალი პოტენციალი აქვს. გარდა იმისა, რომ კახეთი კურკოვანი ხილის, განსაკუთრებით აჭმის მწარმოებელი რეგიონია, აქ წლის სხვადასხვა სეზონზე მრავალი სახეობის ხილი მოდის, რომელიც საკონსერვო მრეწველობისთვის კარგ სანედლეულო ბაზას წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკონსერვო მრეწველობას კახეთში შემდეგი სპეციფიკა ახასიათებს: გვალვის ან სეტყვის გამო შესაძლოა ხილის სხვადასხვა სახეობის მოსავალი განადგურდეს, რაც საკონსერვო მრეწველობისთვის წყვეტას ნიშნავს, მაგრამ აქ არსებული ნიადაგები და აგროკლიმატური პირობები სანედლეულო ბაზის გაფართოების შესაძლებლობას იძლევა, რაც ამ რისკს შეამცირებს.

## მეცხოველეობა

კახეთის სოფლის მეურნეობაში მეცხოველეობას ტრადიციულად წამყვანი ადგილი ეკავა. აქ არსებული საძოვრებისა და სათიბების დიდი მასივები და ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები ამ დარგის განვითარებისთვის საუკეთესოა.

მიუხედავად იმისა, რომ კახეთს მცირე წილი უკავია ქვეყნის მეცხოველეობის მთლიან სულადობაში, ამ დარგის განვითარების დიდი პოტენციალი არსებობს და დედაქალაქთან მისი სიახლოვე რეგიონის ძლიერ მხარეს წარმოადგენს.

კახეთი მეხუთე ადგილზეა იმერეთის, სამეგრელოს, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის შემდეგ და მისი წილი 9 %-ს შეადგენს.

კახეთის მეცხოველეობის სექტორში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, მათი სულადობა 2012 წლის მონაცემებით მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. კახეთის რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებს შორის კი ყველაზე მცირე სულადობა ჰყავს თელავს – 8.6 ათასი სული, ხოლო ყველაზე მეტი საგარეჯოს – 24.6 ათასი სული, მას მოსდევს ლაგოდეხი, დ/წყარო, სიღნაღი და ყვარელი.

კახეთში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა წინა წლებთან შედარებით მაღალია, განსაკუთრებით შინამეურნეობებში, სადაც ეს მაჩვენებელი 99,3-99,8%-ს შორის მერყეობს, დანარჩენი წილი კი სასოფლო-სამეურნეო სანარმოებს უკავიათ.

კახეთის თითოეულ მუნიციპალიტეტს გააჩნია პირუტყვის გადასარეკი ტრასები, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ზამთრის და ზაფხულის საძოვრებს, როგორც რეგიონის შიგნით, ისე ქვეყნის სხვა რეგიონებთან. გადასარეკი ტრასები შემდეგი ინდიკატორებით იზომება: ტრასის, ცხოველთა სადგომების, ტრასის ფართობის (ჰექტრებში), ტრასის სიგრძის (კილომეტრებში) მიხედვით. სამწუხაროდ, ცხოველთა გადასარეკი ტრასებზე არსებული განუკითხაობა მრავალი პრობლემის წინაშე აყენებს როგორც ფერმერებს, ისე სახელმწიფოს. კერძოდ: ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების გავრცელება რეგიონის და ქვეყნის მასშტაბით, არაკეთილსაიმედო, ეპიზოოტიური გარემო და რეგიონის მეცხოველეობის დარგში რისკების ზრდის ტენდენცია.

კახეთი საქონლის ხორცის წარმოების მხრივ მეოთხე ადგილზეა იმერეთის, სამეგრელოს, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის შემდეგ. 2006-2011 წლებში ხორცის წარმოება კახეთის რეგიონში იკლებს 2010 წლამდე, 2011 წელს კი ზრდაა. ცალსახად შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს ცვლილება სახელმწიფო აღრიცხვიანობის მონესრიგებითაა განპირობებული.

ხორცს რეგიონში აწარმოებენ ოფიციალურად მოქმედი ცხოველთა სასაკლაოები, რომელთაც შესაბამისი ნებართვა გააჩნიათ. თელავში, სოფელ ყარაჯალას სასაკლაო, რომელიც USAID პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა, სეზონურობის გათვალისწინებით დღეში 2-4 ტონა, ხოლო თვეში 60-120 ტონა საქონლის ხორცს უწევდა რეალიზებას. აქ მონყობილია თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზი და სამაცივრე კამერა. აღსანიშნავია ლაგოდეხის, ველისციხის, იორმულანლოსა და ვარდისუბნის სასაკლაოები, ასევე, ბაკურციხე-თბილისის საავტომობილო გზის გასწვრივ მდებარე ხორცის სარეალიზაციო პუნქტები, სადაც იკვლება პირუტყვი და ხორცის რეალიზება ამ უბნებიდანვე ხდება.

რეგიონში მოქმედ სხვა სასაკლაოებზე არსებული სიტუაცია უკიდურესად მძიმეა: სრულად არის დარღვეული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები; მოუწყობელია საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის სისტემები; ხორცის შესანახად არ არის მოწყობილი სამაცივრე კამერები; ადგილზე არ მუშაობს ლაბორატორიული შემოწმების პუნქტები; სასაკლაოები არ არის იზოლირებული ბაზრობების ტერიტორიიდან; მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი მაკონტროლებელი ორგანოების არარსებობა და სურსათის უვნებლობის სამსახურის უუნარობა პროდუქციის ხარისხის კონტროლის თვალსაზრისით.







რძის წარმოების თვალსაზრისით კახეთს მცირე წილი უკავია, ვიდრე იმერეთს, ქვემო ქართლს ან დანარჩენ რეგიონებს, მაგრამ კახეთის მოსახლეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა და შესაბამისად, წარმოების გაზრდის პოტენციალიც გააჩნია. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში კარგად ჩანს კახეთის წილი ქვეყნის სხვა რეგიონებს შორის.

კახეთის წილი ქვეყნის რძის საერთო წარმოებაში 6,1-6,8%-ის ფარგლებში მერყეობს, თუმცა მას ზრდის პოტენციალი გააჩნია. რძეზე სტაბილური მოთხოვნა მზარდია და რეალურად ადგილობრივ ბაზარზე ნატურალურ რძეზე დეფიციტია, ეს კი ხელსაყრელ ბიზნეს გარემოში მერძეული მესაქონლეობის განვითარების ერთგვარი წინაპირობაა. ადგილობრივი ფერმერი, რომელსაც 3-6 ან მეტი სული ძროხა ჰყავს, თავად აწარმოებს სულგუნს ან სხვა სახეობის ყველს და უფრო მეტ მოგებას იღებს.

კახეთში ტრადიციულად რძის მწარმოებელი წამყვანი ზონებია: ახმეტა, საგარეჯო, სიღნაღი, ლაგოდეხი და დედოფლისწყარო. დანარჩენ მუნიციპალიტეტებშიც აწარმოებენ რძეს, მაგრამ მათი წარმოების მოცულობა მცირეა ზემოთ აღნიშნულ ზონებთან შედარებით.

რძის და რძის პროდუქტების ადგილობრივი კომპანიები, როგორც არის: „სანტე“, „ეკოფუდი“, „სოფლის ნობათი“ და სხვა, კახეთის რეგიონში რძეს არ შეისყიდებიან, რადგან მათ ყოველდღიურ მოთხოვნას კახეთი ვერ აკმაყოფილებს, თუმცა ქვეყნის სხვა რეგიონებიც ვერ აწვდიან საკმარის რძეს და ეს კომპანიები დეფიციტს რძის ფხვნილის გამოყენებით ივსებენ.

მელორეობა საქართველოს მეცხოველეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. დღეს მელორეობის წამყვანი რეგიონებია: იმერეთი, სამეგრელო, ქვემო ქართლი და ზემო სვანეთი, მათ შორის კახეთი. მელორეობას განსაკუთრებით დიდი ზიანი „ლორის გრიპმა“ მიაყენა.

კახეთში ლორის სულადობის მხრივ ყვარელი ლიდერობს 4035 სულით, მას მოსდევს დედოფლისწყარო – 3815 სულით, შემდეგ კი საგარეჯო – 3421 სულით, ყველაზე მცირე რაოდენობა ახმეტის მუნიციპალიტეტშია – 700 სული. კახეთში ლორის სხვადასხვა სახეობებია გავრცელებული, მაგრამ „კახური ლორის“ სახეობა გადაშენების პირასაა მისული. სამწუხაროდ, კახეთში არც ერთი ჯიშთსაშენი არ არსებობს, სადაც დაინტერესებული ფერმერი ჯიშობრივად წმინდა ლორის სახეობებს შეიძენს.

ლორის ხორცის წარმოებას კახეთში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ადგილობრივ ბაზარზე მასზე დიდი მოთხოვნილებაა, რომელიც პიკს დეკემბერსა და იანვარში აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ლორის ხორცი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე იმპორტირებული, ადგილზე წარმოებულ ხორცზე მაინც დიდი მოთხოვნაა. დღეს ქვეყანაში წარმოებული ლორის ხორცის საერთო რაოდენობაში კახეთის წილი 10,5-14,1%-ის ფარგლებში მერყეობს.

ლორის ხორცის მწარმოებლები ძირითადად წვრილი შინამეურნეობები არიან, შესაბამისად, რეალიზებული ხორციდან შემოსავალი მწარმოებელთა ამ სეგმენტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მეხორციეული მიმართულების განვითარებას ხელს შეუწყობს ეპიზოოტიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მელორეობის, ისე როგორც მეცხოველეობის სხვა დარგების განვითარებას, ხელს რამდენიმე ფაქტორი უშლის, კერძოდ:

- ხორცის ხარისხის კონტროლის სამართლებრივი ნორმების არასრულყოფილება;
- რეგიონსა და ქვეყანაში არაკეთილსაიმედო ეპიზოოტიური მდგომარეობა;
- რეგიონსა და ქვეყანაში ვეტერინარული სისტემის არაეფექტურობა;
- საკვები ბაზის დაბალკალორიულობა და წარმოებული საკვების სიძვირე;
- მაღალპროდუქტიული ჯიშების ნაკლებობა;
- სურსათის ხარისხის კონტროლის სისტემის არაეფექტურობა;
- ხორცის წარმოებისა და სარეალიზაციო პუნქტებში სათანადო ინფრასტრუქტურის დაბალი დონე;
- ადგილობრივ ხორცის ბაზარზე მონოპოლიური კომპანიების დიდი ზეგავლენა.

მეცხვარეობას, ისე როგორც ზოგადად მეცხოველეობას, კახეთში უხსოვარი დროიდან მისდევდნენ. ტრადიციულად, კახეთში ამ საქმიანობას ახმეტის, დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს ფერმერები მისდევდნენ, რადგან ზამთრის საძოვრებისა და საზაფხულო იალაღების დიდი მასივები ამ დარგის განვითარების ფართო შესაძლებლობას იძლეოდა და დღესაც ასეა. წინა წლებთან შედარებით დღეისათვის ცხვრის სულადობა შემცირებულია. მეცხვარეობის თვალსაზრისით უმთავრეს რეგიონს რეალურად კახეთი წარმოადგენს, მას მოსდევს ქვემო ქართლი, რომელსაც წინა წლებში ცხვრის დიდი სულადობა არ ჰყავდა, მაგრამ ბოლო 12 წლის განმავლობაში ეს დარგი რეგიონში სტაბილურად ვითარდება.

კახეთის მუნიციპალიტეტებს შორის მეცხოველეობის თვალსაზრისით ლიდერობს ახმეტა – 67 .5 ათასი სული და საგარეჯო – 96 ათასი სული ცხვრით. მას შემდეგ, რაც არაბულ ქვეყნებში თუშურ ცხვარზე მოთხოვნა გაჩნდა, ცხვრის სულადობამ მკვეთრად იმატა და კიდევ უფრო გამრავლების მოტივაცია გაჩნდა, მაგრამ ცხოველთა საშიში დაავადებების გავრცელება დიდ რისკს წარმოადგენს ექსპორტისთვის.





ცხვრის ხორცის წარმოებას და მოხმარებას ძირითადად ადგილობრივი ხასიათი აქვს. ამ ხორცის იმპორტი სხვადასხვა სახეობის კონსერვის ან პროდუქტის სახით ხდება, დანარჩენი კი ადგილზე იწარმოება. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 4 წელია, ქვეყნიდან ცოცხალი ცხვრის ექსპორტი მიმდინარეობს და მას სახორცე დანიშნულება აქვს, რეგიონში ცხვრის ხორცის დამამზადებელი და გადამამუშავებელი საწარმო არ არსებობს.. აქვე აღსანიშნავია, რომ კვლევის პერიოდში ექსპორტის მონაცემების მოძიება შეუძლებელი იყო. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ჩანს წარმოებული ცხვრის ხორცის რაოდენობა, სადაც წამყვანი ადგილი ისევ კახეთს უჭირავს, მას მოსდევს: ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი.

მეცხოველეობის დარგებს შორის მეცხვარეობა ერთ-ერთი შემოსავლიანი დარგია, რადგან ცხვრის ნამატი წლის განმავლობაში საკმაოდ დიდია, ცხვრის ყველის წარმოება მისი მაღალი ფასის გამო საკმაოდ მომგებიანია, აგრეთვე, ცხვრისგან მიღებული მატყლი შესანიშნავ ნედლეულს წარმოადგენს საფეიქრო მრეწველობისთვის. მართალია, წინა წლებთან შედარებით დღეს მატყლის ფასი დაბალია, მაგრამ გარკვეულ შემოსავალს მაინც იძლევა.

ამ დარგში არსებული პრობლემები მისი განვითარების შესაძლებლობებს ზღუდავს. პრობლემები კი შემდეგი სახისაა:

- რეგიონსა და ქვეყანაში არაკეთილსაიმედო ეპიზოოტიური მდგომარეობა;
- რეგიონსა და ქვეყანაში ვეტერინარული სისტემის არაეფექტურობა;
- ფერმებში, აგრეთვე, რძისა და ყველის წარმოებისას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაუცველობა;
- საზაფხულო და ზამთრის საძოვრების დაბალკალორიულობა, საძოვრების ნაწილობრივი გაუდაბნოება;
- სურსათის ხარისხის კონტროლის სისტემის არაეფექტურობა;
- ხორცის წარმოებისა და მის სარეალიზაციო პუნქტებში სათანადო ინფრასტრუქტურის დაბალი დონე.

### მეფრინველეობა

ადგილობრივ ბაზარზე ფრინველის ხორცზე, განსაკუთრებით კი ქათმის ხორცსა და კვერცხზე, სტაბილურად მზარდი მოთხოვნაა. ადგილობრივი წარმოება, ფაქტობრივად, ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, რის გამოც დეფიციტი იმპორტირებული ხორციით ივსება.

ფრინველის ოდენობა რეგიონების მიხედვით მოყვანილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. როგორც ცხრილიდან ჩანს, კახეთს მცირე წილი – 15-17,1% უკავია ფრინველის საერთო რაოდენობაში, წამყვან ადგილზე კი ქვემო ქართლია, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობა შიდა ქართლშია. მეფრინველეობაზე უარყოფითი გავლენა იქონია 2005-2006 წლებში „ქათმის გრიპმა“, რომლის გამოც მკვეთრად შემცირდა როგორც ფრინველის, ისე კვერცხის რაოდენობა.

მეფრინველეობას კახეთში ძირითადად შინამეურნეობრივი ხასიათი აქვს, ასევე, ფუნქციონირებს მეფრინველეობის ორი ფაბრიკა: საგარეჯოში, სოფელ პატარძელსა და თავად საგარეჯოში, რომელსაც ძირითადად მეკვერცხეობის მიმართულება გააჩნია. მეხორცეული მიმართულებით კახეთში, ისე როგორც სხვა რეგიონებში, ბროილერის ჯიშის ქათმები გამოჰყავთ და ისიც მხოლოდ საოჯახო მეურნეო-







ბებში. მსხვილი მეფრინველეობის ფაბრიკა იყო თელავში, რომელიც დღეს გაჩერებულია. კახეთს აქვს დიდი პოტენციალი, მიაწოდოს ქათმის ხორცი დედაქალაქსა და ქვეყნის მსხვილ ქალაქებს და იმპორტი ნაწილობრივ ჩაანაცვლოს.

ფრინველის ხორცის წარმოებაშიც კახეთს მცირე წილი უკავია, რომელიც 10,1-12,1%-ს შორის მერყეობს. წამყვან ადგილზე იმერეთი და სამეგრელოა, ყველაზე მცირე მოცულობა კი შიდა ქართლშია. როგორც კახეთში, ისე მთელ საქართველოში მეფრინველეობას მეკვერცხეული მიმართულება და შინამეურნეობრივი ხასიათი აქვს. ფაქტობრივად, ფრინველის ხორცის ადგილობრივი წარმოება საკმაოდ მცირეა და ბაზრის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, რაც იმპორტირებული ქათმის ხორცით ბალანსდება.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ადგილობრივი წარმოება 2006-2011 წლებში სტაბილურია და 12,9 ათას ტონას არ აღემატება, ხოლო იმპორტი 2006 წლიდან 2007 წლამდე თითქმის ორმაგდება, დანარჩენ წლებში კი სტაბილურად იზრდება და მაქსიმუმს – 40,8 ათას ტონას 2010 წელს აღწევს. ფრინველის ხორცის იმპორტი 57%-დან 77,6%-მდე გაიზარდა, მასზე მოთხოვნა კი კვლავ მზარდია. ეს ამ დარგის გაძლიერების საფუძველს იძლევა.

კვერცხის წარმოებაში რეგიონებს შორის კახეთის წილი 13,6-18,1%-ს შორის მერყეობს, მაგრამ კლებითი ტენდენციით 2006 წელს 18,1% იყო, ხოლო 2010 წელს 13,6%-მდე ჩამოდის, 2011 წელს კი კვლავ იმატებს.

კახეთის წილის ასეთი კლება გამოწვეულია ქვემო ქართლში მეფრინველეობის ფაბრიკებში კვერცხის წარმოების ზრდით. ამ რეგიონში სახელმწიფომ და ინვესტორთა მცირე ჯგუფმა ეფექტურად აამოქმედეს კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკა, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე კვერცხის მსხვილი მიმწოდებელია.

ფრინველის ხორცის წარმოებაში თუ იმპორტის წილი მაღალი იყო, განსხვავებული მდგომარეობაა კვერცხის სასურსათო ბალანსში. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2006 წლიდან 2010 წლამდე იმპორტი მცირდება /2,2%-მდე/ და შესაბამისად იზრდება ადგილობრივი წარმოება /96,9%-მდე/. ფაქტობრივად, 2006 წლიდან 2010 წლამდე წარმოება თითქმის ორმაგდება და მთლიანობაში 445 მლნ ცალ კვერცხზე აღის. მზარდია კვერცხის სასურსათო მოხმარებაც, რომელიც 2010 წლისთვის 433 მლნ ცალს შეადგენს.

### მეფუტკრეობა

მეფუტკრეობას უძველესი დროიდან მისდევენ საქართველოში, განსაკუთრებით კი კახეთში. ქართული ფუტკარი თავისი უნიკალური და სამეურნეო თვისებებით გამორჩეულია ფუტკრის სხვა ჯიშებისაგან და მსოფლიოში აღიარებულია.

კახეთის წილი ქართულ მეფუტკრეობაში საკმაოდ მცირეა, წამყვანი ადგილი სამეგრელოს, იმერეთს, აჭარას და მთლიანად დასავლეთ საქართველოს უკავია.





ადგილობრივ ბაზარზე თაფლის რეალიზაცია სეზონურ ხასიათს ატარებს და პიკს დეკემბერ-იანვრის თვეებში აღწევს. თაფლის ექსპორტის მონაცემების არქონის გამო შეუძლებელია ითქვას, რომელ ქვეყანაში რა რაოდენობის თაფლი იყიდება. ამ დარგის განვითარებისთვის თაფლის ექსპორტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ფაქტორი იქნება, რადგან მას დიდი პოტენციალი გააჩნია.

თაფლის წარმოების ზრდის დიდი პოტენციალის გარდა, ამ დარგის გამოყენება სამკუნალო დანიშნულების პრეპარატების დამზადებისთვისაც მნიშვნელოვანია. ეს მეფუტკრეობის ერთ-ერთი უნიკალური მიმართულებაა. კახეთის ტყეებსა და მინდვრებში არსებული მცენარეების მრავალფეროვნება და სეზონური ყვავილობა მაღალხარისხოვანი თაფლის წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.

კახეთში ფუტკრის ოჯახების რიცხვი მუნიციპალიტეტების მიხედვით მოყვანილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. მეფუტკრეობის წამყვანი ზონებია ყვარელი, სიღნაღი და გურჯაანი, ყველაზე მცირე რაოდენობა ახმეტას ჰყავს. შესაბამისად, აღნიშნული მუნიციპალიტეტები თაფლის მსხვილი მწარმოებლები არიან რეგიონში. მეფუტკრეობის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს, რომლის ტყე და მინდვრები მაღალხარისხოვანი თაფლის წარმოების შესაძლებლობას იძლევა.

### სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა

რეგიონში დღეს არსებული სასოფლო-სამეურნეო (ს/ს) ტექნიკა ძირითადად ამორტიზებულია და მისი ექსპლუატაციის ვადა გასულია. ეს ძველი ტექნიკა, ძირითადად, რუსული წარმოებისაა, ნაწილი კი ბელარუსის გამოშვებული. ფაქტობრივად, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში ს/ს ტექნიკა ამ ქვეყნებიდან აღარც შემოსულა, რამდენიმე ერთეული შემთხვევის გარდა. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ქვეყანაში მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე მაღალი მოთხოვნაა, მაგრამ კერძო სექტორს თანამედროვე ტექნიკაში ჩასადებად საჭირო ინვესტიცია არ აქვს. საერთაშორისო და დონორმა ორგანიზაციებმა USAID, MCG, GIZ და იაპონიის საელჩომ არაერთი პროექტი განახორციელეს არსებული დეფიციტის შესავსებად, მაგრამ დღეს ქართული სოფლის მეურნეობა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვას კვლავ საჭიროებს.

### კახეთის სამედიკალური სისტემა

კახეთის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასარწყავებას უზრუნველყოფს სახელმწიფო შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული სამედიკალური სისტემების კომპანია“. აღნიშნულ კომპანიას რეგიონის მასშტაბით ოთხი სისტემური სამმართველო ექვემდებარება, კერძოდ: ზემო ალაზნის, ქვემო ალაზნის, ლაგოდეხი-ყვარლის და ქვემო სამგორის სისტემური სამმართველოები, რომლებიც კახეთის ყველა მუნიციპალიტეტისთვის სარწყავი წყლის მიწოდებას უზრუნველყოფენ.

დედოფლისწყაროში რამდენიმე სარწყავი სისტემა ფუნქციონირებდა: ზილიჩა პირველი, ტარიბანისა და თელანწყლის მექანიკური სარწყავი სისტემები. მდინარე ალაზნიდან ზილიჩა პირველით 6 000 ჰა ირწყვებოდა, ტარიბანის მასივის გასარწყავება მდინარე იორზე მოწყობილი სატუმბი სადგურით ხდებოდა. დღეს აღნიშნული სისტემები გაუქმებულია. საგარეჯოში სავარგულების გასარწყავება მექანიკური სარწყავი სისტემებით ხდებოდა. დღეს აღნიშნული სარწყავი სისტემა გაუქმებულია.

## IV. ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურა კახეთის რეგიონის კონკურენტუნარიანობას და ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის შშმ პირების ცხოვრების ხარისხს განაპირობებს. რეგიონში საცხოვრებელი პირობები ფასდება იმის მიხედვით, თუ როგორია სასმელი წყლის ხარისხი, ადგილობრივი გზები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მდგომარეობა, მყარი ნარჩენების მართვა, ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და ტელეკომუნიკაციების ხელმისაწვდომობა.

აღსანიშნავია, რომ კახეთში ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად სამუშაოების ნაწილი უკვე ჩატარებულია, მათ შორის აღსანიშნავია ქ. სიღნაღის და ქ. თელავის რეაბილიტაცია. გზებისა და ნავსაყურელების რეაბილიტაცია ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება, გარე განათება და სოფლების წყალმომარაგება კი – ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო ელექტროფიკაცია, ქალაქების წყალმომარაგება, გაზიფიცირება, კავშირგაბმულობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტი მთლიანად კერძო სექტორს ეკუთვნის.

კახეთის რეგიონების 99.7%-ს ელექტროენერჯიას შპს „კახეთის ენერჯოდისტრიბუცია“ აწვდის, წყალმომარაგებას – შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ უზრუნველყოფს. თუმცა სოფლების დიდი ნაწილი კვლავ თვითდინებით მომდინარე წყლითა და არტეზიული ჭაბურ-








ლილებიდან მარაგდება. რეგიონში მხოლოდ ქ. სიღნაღსა და ქ. ლაგოდეხს აქვს წყალი 24-საათიანი გრაფიკით. დანარჩენ ქალაქებში სხვადასხვა ხანგრძლივობის გრაფიკი მოქმედებს. მოუწესრიგებელია სოფლებში წყლის გადასახადის ადმინისტრირება, რაც უფრო ართულებს არსებულ სიტუაციას. ხშირია წყლით გამონეული დაავადებები (წყარო: საჯარო შეხვედრების დროს მიღებული ინფორმაცია).

**კახეთში შინამეურნეობების განაწილება წყლის მომარაგების მიხედვით, 2010.**



წყარო: მსოფლიო ბანკის 2012 წ. საქართველოს ურბანიზაციის ანგარიში

საკანალიზაციო სისტემა კახეთის რეგიონში ყველაზე ნაკლებად არის განვითარებული. გამართული კანალიზაცია მხოლოდ რამდენიმე ქალაქშია, ქ. დედოფლისწყაროსა და ქ. ყვარელში საერთოდ არ არსებობს, ხოლო ლაგოდეხსა და ახმეტაში კი ქალაქის მხოლოდ 50%-ია დატვირთული. საკანალიზაციო სისტემა ყველაზე მოწესრიგებული ქ. თელავსა და ქ. სიღნაღის ცენტრშია. პრობლემაა ისიც, რომ მუნიციპალიტეტებში კანალიზაციის გამმენდი ნაგებობები ან ამორტიზირებულია, ან საერთოდ არ არსებობს. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხის დიდი ნაწილი წყლისა და კანალიზაციის სისტემების მოწესრიგებას ხმარდება. მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციით, 2012 წელს კახეთის რეგიონში სოფლის პროგრამის ფარგლებში მთლიანობაში დახარჯული თანხის 39% წყალმომარაგების სისტემის შექმნა/აღდგენას მოხმარდა, ხოლო საკანალიზაციო სისტემების მოწყობა/აღდგენას კი – მხოლოდ 2%. მიუხედავად ამისა, წყლის მიწოდების მხრივ არსებული პრობლემების კომპლექსური მოგვარება ვერ ხერხდება.

**კანალიზაციის სისტემასთან მიერთებული შინამეურნეობების წილი რეგიონების მიხედვით, 2010**

თბილისი	97.6
აჭარა	57.6
საქართველო	46.0
ქვემო ქართლი	31.2
შიდა ქართლი	29.9
იმერეთი	29.6
სამცხე-ჯავახეთი	25.9
მცხეთა-მთიანეთი	20.6
სამეგრელო-ზემო სვანეთი	15.3
კახეთი	9.8
გურია	6.4

წყარო: მსოფლიო ბანკის 2012 წ. საქართველოს ურბანიზაციის ანგარიში

გაზიფიცირებულია რეგიონის 37.5%. მუნიციპალიტეტების უმრავლესობას ბუნებრივი აირით „სოკარ ჯორჯია გაზის“ კახეთის რეგიონული სამსახური ამარაგებს, ხოლო თელავის მუნიციპალიტეტს - კომპანია „ვისოლ გაზის სადისტრიბუციო კომპანია“. დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის პრობლემაა გაზის საფასურის გადახდა, ამიტომ გასათბობად ხშირად კვლავ შეუა გამოიყენება.

ბოლო 5 წლის განმავლობაში კახეთის რეგიონში შიდა და მაგისტრალური გზების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კახეთში რეაბილიტაციას საჭიროებს 835 კმ. (31%) ასფალტიანი და 889 კმ. (33%) გრუნტიანი საფარი. კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში შიდა გზების რეაბილიტაცია ძირითადად მუნიციპალური ბიუჯეტიდან და მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება.





გარე განათების სისტემის მოვლა-პატრონობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მონაცემებზე დაყრდნობით, კახეთის რეგიონში გარე განათების პრობლემა ძირითადად მოგვარებულია (გარდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისა), მუნიციპალიტეტების ქალაქები და ცენტრალური გზები უზრუნველყოფილია გარე განათების გამართული ქსელით.

რეგიონში საზოგადოებრივ ტრანსპორტს კერძო სამარშრუტო ტაქსები და მსუბუქი ავტომანქანები წარმოადგენენ. საზოგადოებრივი ტრანსპორტი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შიგნით და მუნიციპალიტეტებს შორის მოსახლეობის მიმოსვლას.

2011 წლის მონაცემებით, ინტერნეტის ქსელში კახეთის მოსახლეობის მხოლოდ 5.2% იყო ჩართული, რის მიხედვითაც რეგიონი გურიის შემდეგ ბოლოდან მეორე ადგილზეა.

ყველა მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული შპს-ების მიერ ხდება, რომლებსაც ქალაქებიდან და სოფლებიდან ნარჩენები გააქვთ თვითმმართველობის მიერ მითითებული განრიგით. 2012 წლის სექტემბერში თვითმმართველობების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ყველა მუნიციპალიტეტის ქალაქი უზრუნველყოფილია ნაგვის ბუნკერებითა და ურნებით.


კახეთის რვავე მუნიციპალიტეტში შშმ პირების გადაადგილებისა და განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა თითქმის არ არსებობს, ანალოგიური ვითარებაა მთელ საქართველოში<sup>13</sup>. კულტურული და სპორტული განვითარების საჭირო ინფრასტრუქტურა, ასევე, განაპირობებს ადამიანთა ცხოვრების ხარისხს.

## V. ბარემოს დასვა

### სატყეო საქტორი და ბიომრავალფეროვნება

კახეთის რეგიონისთვის ტყეები ერთ-ერთი მთავარი ბუნებრივი რესურსია, რომელიც მოსახლეობას უზრუნველყოფს შეშით, სამშენებლო მასალით, ტყის მეორადი პროდუქტებითა და სანადირო—სარეწაო ნადირ-ფრინველით. სტატისტიკის მიხედვით, კახეთის რეგიონში საქართველოს ტყეების ფართობის 11%-ია თავმოყრილი. დაკავებული ფართობის მიხედვით კი მეორე ადგილზეა. რეგიონის ტყეების 98% მთის ტყეების კატეგორიას მიეკუთვნება და მათ უდიდესი ეკოლოგიური და ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია. მთის ტყეების დიდ ნაწილს ეროზიის სანინალმდეგო, ნიადაგდაცვითი, კლიმატის მარეგულირებელი, წყლის შემნახავი, ბუნების გენოფონდის მწარმოებელი და სხვა ფუნქციები აქვს. ასევე, მნიშვნელოვანია ის, რომ რეგიონის მთის ტყეების 80% მაღალი (25<sup>მ</sup>-ზე მეტი) დაქანების ფერდობებზე იზრდება, რაც კიდევ უფრო ზრდის ამ ტყეების ეკოლოგიურ მნიშვნელობას. რეგიონის ტყეების 2% კი ჭალის ტყეებს უკავია. კახეთის ტყეების 15% დაცულ ტერიტორიებშია მოქცეული, რაც ტყეების შენარჩუნებასა და განახლებას უწყობს ხელს.

ტყის ფართობების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით



წყარო: საქართველოს სატყეო მეურნეობის ყოველწლიური სტატისტიკური ბროშურა – 2006 წ.

### დასული ტერიტორიები

საქართველოს დაცული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი კახეთის რეგიონში მდებარეობს და 194 ათასი ჰა უკავია, რაც მთლიანი ქვეყნის დაცული ტერიტორიების ფართობის 37%-ია, ხოლო მთლიანი ქვეყნის ტერიტორიის – 2.8%.

13 ეკონომიკური და სოციალური მონაცემები საქართველოში, UNDP, 2013





ქვეყნის გარემოსდაცვითი სისტემაში ყველაზე წარმატებით დაცული ტერიტორიები ვითარდება გარემოსდაცვით სხვა სფეროებთან შედარებით. ამ მიმართულებით იზრდება როგორც სახელმწიფო დანახარჯები, ასევე, უცხოური ორგანიზაციების დაფინანსებაც. 2012 წელს დაცული ტერიტორიების განვითარებისთვის 8.6 მლნ ლარი გამოიყო, ხოლო 2013 წელს კი 5,6 მლნ ლარია გათვალისწინებული. დაცული ტერიტორიების ნაწილში, სადაც ტურიზმის განვითარების პოტენციალი დიდია, საერთაშორისო დონორების დახმარებით მოწყობილია ტურისტული ინფრასტრუქტურა კოტეჯებისა და ტურისტული ბილიკების სახით.

### ატმოსფერული ჰაერის მართვა

„2012 წელს საქართველოში საწარმოებიდან სულ გაიფრქვა 38477 ტონა მავნე ნივთიერება, საიდანაც კახეთის რეგიონზე მოდის მხოლოდ 568,3 ტონა (1,48%).“

როგორც მთელ საქართველოში, მათ შორის კახეთშიც, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მთავარი წყარო ავტომობილების გამონაბოლქვია. კახეთში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი წყარო მოსახლეობის მიერ ფოთლის წვავაა. ამ სფეროს შესახებ საწარმო ინფორმაცია კახეთის რეგიონის შესახებ არ არსებობს.

### ბუნებრივი კატასტროფების მართვა

ბუნებრივი კატასტროფების რისკი მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, ძალიან გაიზარდა, რაც მრავალი ფაქტორითაა გამოწვეული: კლიმატის ცვლილებით დაწყებული სოფლის მეურნეობის არასწორი წარმოებით დამთავრებული. ეს პრობლემა კახეთის რეგიონში მწვავედ დგას, ბუნებრივი კატასტროფების შედეგად მიღებული დანაკარგები ყოველწლიურად იზრდება. ხშირია გვალვა გაზაფხულზე, წვიმები მოსავლის აღების პერიოდში, სეტყვა უკვე წელიწადის ნებისმიერ დროს შეიძლება მოვიდეს, ქარიშხლების ინტენსივობაც გაზრდილია. ამ კლიმატური მოვლენების ციკლი მკვეთრად შეცვლილია და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ძალიან დიდ საფრთხეს წარმოადგენს, ფერმერები დიდ ზარალს განიცდიან. 2012 წლის 19 ივლისს მოსული სეტყვისა და ძლიერი ქარიშხლის შედეგად მიყენებული ზარალი უპრეცედენტო იყო. 2013 წლის აპრილსა და მაისში თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში მოსულმა სეტყვამ ძალიან დიდი ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობას.

ასევე, აღსანიშნავია სეზონური წყალდიდობა და გვალვა, დროში განგრძობადი სტიქია, მაგალითად დაჭაობება. ამჟამად ბუნებრივი კატასტროფების რისკის ქვეშ, სხვადასხვა დიაპაზონით, მთელი კახეთის რეგიონი დგას.

### გარემოსდაცვითი განათლება

გარემოსდაცვითი განათლების განხორციელებისთვის საჭირო ქმედებები ჩამოყალიბებულია დოკუმენტში „გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის, საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2012—2014“, სადაც ფორმალური, არაფორმალური და არაოფიციალური მიმართულებებია გამოყოფილი.

### ბოლო სამი წლის განმავლობაში დონორების და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პროექტებში გარემოსდაცვითი სხვადასხვა მიმართულების წილი (%—ში)

N	მიმართულების დასახელება	%ული წილი
1	დაცული ტერიტორიები	20
2	გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურა	0
3	ნიადაგის მართვა	4
4	მდინარეთა მართვა	4
5	განახლებადი და ალტერნატიული ენერჯიები	5
6	ქარსაფარი ზოლები და გამწვანება	2
7	გარემოსდაცვითი განათლება	9
8	ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა	15
9	ბუნებრივი კატასტროფები	13
10	ადამიანური რესურსების მართვა	5
11	სატყეო სექტორი და ბიომრავალფეროვნება	7
12	კლიმატის ცვლილება	9
13	ნარჩენების მართვა	5
14	ფინანსური მდგრადობა	2
	სულ	100







## ბანახლებადი და ალტერნატიული ენერჯის გამოყენება

იაფი და ეფექტური ენერჯის მიღების მიზნით კახეთის რეგიონისთვის მეტად მნიშვნელოვანია ენერჯის ალტერნატიული და განახლებადი წყაროების გამოყენება. ენერჯომატარებლების მაღალი ფასი აფერხებს სანარმოებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარებას. გარდა ამისა, რეგიონში არსებობს სოფლები, სადაც მოსახლეობას ელექტროენერჯია დღემდე არ მიეწოდება. ამ პირობებში მნიშვნელოვანია ალტერნატიული და განახლებადი ენერჯო რესურსების შესაძლებლობების განვითარება და გამოყენება.

კახეთი საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით არ არის მდიდარი ალტერნატიული და განახლებადი ენერჯო რესურსებით. კახეთი მოქცეულია ქარის დაბალსიჩქარიან ზონაში. რეგიონში ქარის ენერჯის გამოყენებისთვის შესაბამისი მხოლოდ ორი მონაკვეთი არსებობს: ალაზნის ველი, რომელიც ქარის რესურსის ეფექტური გამოყენების ზონას მიეკუთვნება და ილტოს ზეგანი, რომლის პოტენციალიც შედარებით შეზღუდულია. კახეთს კლიმატური პირობებიდან გამომდინარე მზის ენერჯის (ნელინადში 270 დღე მზიანია) გამოყენების პოტენციალი აქვს. ასევე, საქონლის ნაკელის გადამუშავების გზით ბიოსანვავის მიღების პერსპექტივა არსებობს.


თუმცა მნიშვნელოვანი მაინც ჰიდრორესურსებია, რომლის საფუძველზეც რეგიონში 10 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაა დაგეგმილი, ხოლო 4 სადგურის მშენებლობა უკვე მიმდინარეობს.

### კახეთის რეგიონში დაგეგმილი ჰესების მშენებლობის პროექტები

N	ჰესის დასახელება	დადგმული სიმძლავრე	საშუალო წლიური გამომუშავება
1	სტორი-3	13,7 მგვ	60,56 კვტსთ
2	სტორი-1	14 მგვ	69,37 კვტსთ
3	ჩელთი	4.8 მგვ	25,04 კვტსთ
4	სტორი-2	11,4 მგვ	50,52 კვტსთ
5	ჩელთი-2	4.8 მგვ	25,09 კვტსთ
6	სტორი	11.8 მგვ	56,78 კვტსთ
7	დურუჯი	1,74 მგვ	10,69 კვტსთ
8	სამყურისწყალი-1	4,88 მგვ	25,70 კვტსთ
9	ავანი	4,6 მგვ	18,70 კვტსთ
10	სამყურისწყალი-2	22,6 მგვ	117,40 კვტსთ
	სულ	89,52 მგვ	434,76 კვტსთ

### კახეთის რეგიონში მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობის მიმდინარე პროექტები

N	ჰესის დასახელება	დადგმული სიმძლავრე	საშუალო წლიური გამომუშავება	სავარაუდო ინვესტიცია(აშშ. დონარი)	ეტაპი
1	შილდა	5 მგვ	30 კვტსთ	5 500 000	მშენებარე
2	სტორი-2	11,4 მგვ	50,52 კვტსთ		მოკვლევა
3	სტორი-3	13,7 მგვ	60,56 კვტსთ		მოკვლევა
4					მოკვლევა
5	სტორი-1	14 მგვ	69,37 კვტსთ		მოკვლევა





## VI. რეგიონის ფაქტორული ანალიზი (SWOT)

<p><b>რეგიონის ძლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ფართობი;</li> <li>• ღვინო და სპირტიანი სასმელები - ქვეყნის საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს;</li> <li>• აგროგადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების პოტენციალი;</li> <li>• რეკრეაციული, ეკო, სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებისა და ბალნეოლოგიური კურორტების განვითარების პოტენციალი;</li> <li>• ცენტრალური გზების კარგი მდგომარეობა;</li> <li>• რეგიონის ელექტროფიკაცია;</li> <li>• კარგი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა (თბილისთან სიახლოვე და აზერბაიჯანთან საზღვარი);</li> <li>• თელავის აეროპორტის ასაფრენი ბილიკის კარგი მდგომარეობა;</li> <li>• ტყეებისა და დაცული ტერიტორიების სიუხვე.</li> </ul>	<p><b>რეგიონის სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოსახლეობის დაბერება;</li> <li>• ახალგაზრდების მიგრაცია;</li> <li>• სახელმწიფოს დიდი დანახარჯები პენსიებსა და დახმარებებზე;</li> <li>• თვითდასაქმების მაღალი დონე;</li> <li>• სამელიორაციო სისტემის არასათანადო მდგომარეობა;</li> <li>• მოსახლეობის 90%-ისთვის კანალიზაციის სისტემის ხელმეორედმლობა;</li> <li>• მოსახლეობის 62.5%-ისთვის ბუნებრივი აირის ხელმეორედმლობა;</li> <li>• შიდა გზების გაუმართაობა (31% ასფალტიანი და 33%-გრუნტიანი საფარი);</li> <li>• ბუნებრივი კატასტროფების სიხშირე;</li> <li>• მოსახლეობაში კიბოს, ფარისებრი ჯირკვლისა და ანემიის გავრცელების მაღალი დონე.</li> </ul>
<p><b>რეგიონის შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აგრომრეწველობის მოდერნიზაცია;</li> <li>• აგრომრეწველობის განვითარების ზრდის ხელშეწყობა როგორც საექსპორტო პოტენციალის ზრდის, ასევე, ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით;</li> <li>• ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების განვითარება;</li> <li>• მოსახლეობის შემოსავლების ზრდა ამ ორ დარგში ახალი სამუშაო ადგილების შექმნით;</li> <li>• ადგილობრივ ნედლეულზე დაფუძნებით სხვა საწარმო დარგების ამუშავება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;</li> <li>• თვითდასაქმების წილის შემცირება და დასაქმებულთა რიცხვის ზრდა;</li> <li>• რეგიონში სწავლის ხარისხის ამაღლებითა და სამუშაო ადგილების შექმნით დასაქმების ზრდა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მიგრაციის პროცესის შემცირებას;</li> <li>• დასაქმებასთან ერთად სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებით (საბავშვო ბაღები, სკოლები, არაფორმალური განათლების ცენტრები) მოსახლეობისთვის რეგიონში დარჩენის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა;</li> <li>• ცხოვრების ხარისხის ამაღლება ინფრასტრუქტურის გაძლიერებით, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებითა და რიგ დაავადებათა პრევენციით;</li> <li>• ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული მატერიალური ზარალისა და ადამიანური მსხვერპლის შემცირება განათლებისა და პრევენციული ღონისძიებების ჩატარებით.</li> </ul>	<p><b>რეგიონში არსებული საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბუნებრივი კატასტროფები;</li> <li>• ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება გამონაბოლქვით;</li> <li>• მოსახლეობის ბუნებრივი კლება და ავადობა.</li> </ul>





## რეგიონის სოციალური განვითარება

<p><b>ძლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოსახლეობის საბაზისო განათლების მაღალი დონე;</li> <li>• კახეთის დასახლებული პუნქტების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა (სიახლოვე მაგისტრალთან);</li> <li>• აგრომრეწველობისა და ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობები.</li> </ul>	<p><b>შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის ნახალისება;</li> <li>• სამუშაო ადგილების შექმნა;</li> <li>• ახალგაზრდული პოლიტიკის გატარება;</li> <li>• შობადობის ნახალისება და სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა;</li> <li>• ახალგაზრდების მიგრაციის და შესაბამისად, მოსახლეობის დაბერების ტენდენციის შეჩერება;</li> <li>• განათლების სფეროს მორგება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;</li> <li>• ბავშვიანი ოჯახებისთვის ადგილობრივი პროგრამებიდან დამატებითი სერვისების მიწოდება.</li> </ul>
<p><b>სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის სიძველე ან არარსებობა;</li> <li>• მიგრაციული პროცესები, რეგიონიდან სამუშაო ადგილების სიმცირე;</li> <li>• მოსახლეობის დაბერება;</li> <li>• ეკონომიკის ნელი ტემპით განვითარება;</li> <li>• რეგიონში კვალიფიციური კადრების დეფიციტი;</li> <li>• ბავშვებისა და დედების სოციალური დაცვის პროგრამების არარსებობა;</li> <li>• ბავშვების დაბალი წილი სოციალური დახმარების პროგრამებში.</li> </ul>	<p><b>საშუალო მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მიგრაციისა და დაბერების ტენდენციის გაგრძელება;</li> <li>• ინფრასტრუქტურის განვითარების შეჩერება;</li> <li>• ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი ან სტაგნაცია;</li> <li>• ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გაუარესება;</li> <li>• გონივრული ახალგაზრდული პროგრამების უგულვებელყოფა და ბავშვების განვითარებაში ინვესტიციების ჩადებაზე უარის თქმა.</li> </ul>

## ჯანდაცვა

<p><b>ძლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის პირობებში ამბულატორული და ურგენტული სერვისების ხელმისაწვდომობა;</li> <li>• კარგად მომზადებული და გადამზადებული პჯდ ექიმები და ექთნები;</li> <li>• სტაციონარულ სექტორში განახლებული ინფრასტრუქტურა.</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რეგიონში პჯდ ამბულატორიების უმეტესობაში ამორტიზებულია ინფრასტრუქტურა და მოძველებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;</li> <li>• სტაციონარულ სექტორში ექიმ-სპეციალისტების ნაკლებობა, რის გამოც მოსახლეობა იძულებულია სამკურნალოდ თბილისში წავიდეს;</li> <li>• საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაბალი ეფექტურობა;</li> <li>• არც რეგიონში და არც ცალკეულ მუნიციპალიტეტში დაავადებების გავრცელების შემსწავლელი კვლევები არ ტარდება.</li> </ul>
<p><b>შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მუნიციპალიტეტებში დაავადებათა გავრცელების შემსწავლელი კვლევების ჩატარება;</li> <li>• ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდის მიზნით საინფორმაციო კამპანიების წარმოება;</li> <li>• საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეფექტურობის მონიტორინგი;</li> <li>• ექიმების სამუშაო პირობების გაუმჯობესების ლობირება, სპეციალისტ-ექიმების კახეთში დასაქმების ელსაყრელი პირობების შექმნა;</li> <li>• რეგიონის მასშტაბით ექიმთა ინტერესების დასაცავად და ლობირების მიზნით „ექიმთა ასოციაციის“ შექმნა;</li> <li>• პაციენტთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად - „პაციენტთა ასოციაციის“ ჩამოყალიბება.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვისას მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემების უგულვებელყოფა;</li> <li>• ადგილობრივი მმართველობის ნების არარსებობა გადაჭრას თავის კომპეტენციებში შემავალი ჯანდაცვის საკითხები;</li> <li>• მოსახლეობის და ექიმების საზოგადოებრივი პასიურობა;</li> <li>• სახელმწიფოს მხრიდან სტაციონარულ სექტორში ვიწრო სპეციალიზაციის ექიმების რეგიონებში მოზიდვისა და დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკის არარსებობა;</li> <li>• მედ-პერსონალის დაბალი ანაზღაურება და ხელფასების დაგვიანება.</li> </ul>







## განათლება

<p><b>ძლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კახეთში ყველა დონის განათლების დაწესებულებების არსებობა;</li> <li>• დამაკმაყოფილებელი სტანდარტების 2 პროფესიული სასწავლებელი;</li> <li>• პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის დიდი ხვედრითი წილი რეგიონის მოსახლეობაში.</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროფესიული და უმაღლესი განათლება კახეთის შრომის ბაზრის მოთხოვნებს არ შეესაბამება;</li> <li>• საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის სავალალო მდგომარეობა;</li> <li>• ინტერნეტის დაბალი ხელმისაწვდომობა რეგიონის სკოლებში;</li> <li>• ბავშვებისა და ახალგაზრდების მრავალმხრივი ჰარმონიული განვითარებისთვის საჭირო არაფორმალური განათლების კერების ინფრასტრუქტურის დაბალი ხელმისაწვდომობა და გაუმართაობა;</li> <li>• ინკლუზიური განათლების შეზღუდული შესაძლებლობები;</li> <li>• შშმ ბავშვებისთვის დღის ცენტრების დაბალი ხელმისაწვდომობა.</li> </ul>
<p><b>შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კახეთში უმაღლესი და პროფესიული განათლების შესაბამება შრომის ბაზართან;</li> <li>• პროფესიული სასწავლებლების დაკავშირება დამსაქმებლებთან და შესაბამისი კადრების მოთხოვნა-მიწოდებაზე დამყარებული თანამშრომლობის უზრუნველყოფა;</li> <li>• ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სრული აღდგენა მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფისთვის;</li> <li>• სკოლებსა და ბაღებში ინკლუზიური სწავლების პროგრამების შეთავაზება;</li> <li>• არაფორმალური განათლებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის აღდგენა;</li> <li>• ახალგაზრდებს შორის ინტელექტუალური და სპორტული განათლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მუნიციპალიტეტების მხრიდან უფასო და ხარისხიანი სკოლამდელი განათლების უზრუნველსაყოფად საჭირო რესურსების უკმარისობა;</li> <li>• ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ბავშვებისა და ახალგაზრდების არაფორმალური და ინკლუზიური განათლების მნიშვნელობის იგნორირება;</li> <li>• დაბალი საზოგადოებრივი აქტივობა.</li> </ul>

## წარმოება

<p><b>ძლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამშენებლო სექტორისთვის ნედლეულის არსებობა.</li> <li>•</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კვალიფიციური კადრების მწვავე ნაკლებობა ან საერთოდ არარსებობა;</li> <li>• ფინანსური რესურსების სიმცირე და სიძვირე;</li> <li>• საკონსულტაციო მომსახურების არარსებობა.</li> </ul>
<p><b>შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივ ნედლეულზე (გარდა სოფლის მეურნეობისა) ორიენტირებული, უახლესი ტექნოლოგიებით და თანამედროვე მართვის პრინციპებით აღჭურვილი საწარმოების განვითარება.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ენერგომატარებლების სიძვირე;</li> <li>• სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები;</li> <li>• მოთხოვნის არარსებობა (მაგ. მშენებლობის შეჩერება).</li> </ul>





## ტურიზმი

<p><b>1 ძლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რეგიონის კულტურული მემკვიდრეობა;</li> <li>• ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობები;</li> <li>• რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ტრადიციული სტუმართმოყვარეობა და ამ სექტორის განვითარების დიდი სურვილი.</li> </ul>	<p><b>3.3 სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტურისტისთვის სერვისის მიწოდების დაბალი ხარისხი;</li> <li>• ინფრასტრუქტურის ხარვეზები (შეფერხება წყლის მიწოდებაში);</li> <li>• სექტორში მომუშავე ადამიანების არასაკმარისი ცოდნა-გამოცდილება.</li> </ul>
<p><b>3.2 შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რეკრეაციული ტურიზმის განვითარება;</li> <li>• სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება;</li> <li>• აგროტურიზმის განვითარება;</li> <li>• ბალნეოლოგიური კურორტების ამოქმედება.</li> </ul>	<p><b>3.4 საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობა;</li> <li>• საინვესტიციო კლიმატის გაუარესება.</li> </ul>


## ინვესტიციები

<p><b>ძლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ადგილობრივ ბაზარზე მზარდი მოთხოვნა, მისი საექსპორტო პოტენციალი;</li> <li>• იაფი სამუშაო ძალა;</li> <li>• ბიზნესის დაწყების იოლი პროცედურები;</li> <li>• ქვეყნიდან კაპიტალის რეპატრიაციის თავისუფლება.</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აგრომრეწველობაში სეზონური რისკები და გრძელვადიანი უკუგება;</li> <li>• შიდა გზების, წყალ-კანალიზაციის სისტემისა და მყარი ნარჩენების მართვის პრობლემები.</li> </ul>
<p><b>შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინვესტიციების მოზიდვა სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ მრეწველობაში;</li> <li>• ირიგაციის სისტემის აღდგენაში;</li> <li>• ინვესტიციები ტურიზმის სხვადასხვა სახეობებში;</li> <li>• ინვესტიციები სამშენებლო მასალების წარმოებაში;</li> <li>• ბიოსანვალში ინვესტირება.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გაუარესება;</li> <li>• საქონლის გასაღების ბაზრების შემცირება.</li> </ul>

## სოფლის მეურნეობა

### სასოფლო-სამეურნეო სავარგულები

<p><b>ძლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სხვადასხვა ტიპის ნიადაგის დიდი და ნაყოფიერი მასივები.</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არ ხდება ნიადაგის სათანადო გამდიდრება მინერალური თუ ორგანული სასუქებით, მიმდინარეობს მიწის გაუდაბნობის პროცესი, განსაკუთრებით საგარეჯოსა და დედოფლისწყაროში;</li> <li>• სასოფლო-სამეურნეო მიწების მრავალ უბანზე მიმდინარეობს ნიადაგის წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია.</li> </ul>
<p><b>შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ინვენტარიზაცია და მესაკუთრეთა მონაცემთა სრულყოფილი ბაზის შექმნა;</li> <li>• სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაყოფიერების ამაღლება;</li> <li>• ნიადაგის დაცვის სრულყოფილი სამართლებრივი ბაზის შექმნა.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სახნავი და საძოვარი მიწების ჩარეცხვა;</li> <li>• მიწისქვეშა მავნებლების (განსაკუთრებით კავკასიის მარმარა ღრაცა) გავრცელება კახეთის ნიადაგებში;</li> <li>• წყალდიდობა და ღვარცოფები.</li> </ul>





**მედიცინა**

<p><b>ძლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ვაზის კულტურული ჯიშების მრავალფეროვნება;</li> <li>• ნაყოფიერი ნიადაგები;</li> <li>• აგროკლიმატური პირობები;</li> <li>• ღვინის დამზადების ორიგინალური მეთოდები.</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ვაზის თანამედროვე სანერგე მეურნეობის არარსებობა / გამოწვევისა თელავში, სოფელ კონდოლში მოქმედი ქართულ-ფრანგული ინვესტიციით მოწყობილი ვაზის სანერგე „არივიე ჯორჯია“ და ასევე, რამდენიმე მსხვილი ფერმერის სანერგე მეურნეობა, თუმცა მათ სრული ტექნოლოგიური ციკლი არ გააჩნიათ ;</li> <li>• ვაზის საძირეთა და ვაზის ჯიშთა წმინდა სადედეების არარსებობა;</li> <li>• ნერგის ლაბორატორიული შემოწმების ხელმიუწვდომლობა;</li> <li>• დაბალმოსავლიანი და გამეჩხერებული ვენახები;</li> <li>• ღვინის სანარმოო დანაკარგების შესახებ სახელმწიფო ნორმების არარსებობა;</li> <li>• საოჯახო ღვინის მარნების პროდუქციის ბაზარზე ხელშეწყობის არარსებობა;</li> <li>• მევენახე-ფერმერთა და მეღვინეთა კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების დაბალი დონე;</li> <li>• შხამ-ქიმიკატების ფალსიფიკაცია და სიძვირე;</li> <li>• სასუქებისა და საწვავის სიძვირე;</li> <li>• ჩასაბარებელ ყურძენზე გამოყოფილი სუბსიდიების არაეფექტურობა.</li> </ul>
<p><b>შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ვაზის თანამედროვე სანერგე მეურნეობების მოწყობა და სერტიფიცირებული და მაღალხარისხოვანი ვაზის ნერგის ხელმისაწვდომობა;</li> <li>• საოჯახო და მცირე სიმძლავრის მარნებში თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარების მოწყობა;</li> <li>• ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე რეგიონში წარმოებული ღვინოების სტიმულირება;</li> <li>• ღვინის წარმოებაში სანარმოო დანაკარგების სახელმწიფო ნორმების შემუშავება;</li> <li>• მწარმოებლებისთვის ლაბორატორიული მომსახურების ხელმისაწვდომობა;</li> <li>• პროფესიული გადამზადების სპეციალური პროგრამების დანერგვა.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნიადაგის მიწისქვეშა მავნებლების (კავკასიის მარმარა ღრაჭა) გავრცელება;</li> <li>• საინვესტიციო გარემოს გაუარესება;</li> <li>• საექსპორტო ბაზრების დაკარგვა.</li> </ul>

**მარცვლელი კულტურების წარმოების სექტორი**

<p><b>ძლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უნიკალური ხორბლის სახეობების მრავალფეროვნება;</li> <li>• ნაყოფიერი ნიადაგები და ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები.</li> <li>•</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;</li> <li>• დაბალკონდიციური სათესლე მასალა;</li> <li>• საჰექტარო მოსავლიანობის დაბალი მაჩვენებელი;</li> <li>• დასარაიონებელი ახალი ჯიშები;</li> <li>• წარმოებული პროდუქციის მაღალი თვითღირებულება;</li> <li>• ზეთსახდელებში გამოხდილი ზეთის დაბალი ხარისხი და გამოსავლიანობა.</li> </ul>
<p><b>3.3 შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სათესლე და ჯიშთაგამოცდის მეურნეობების მოწყობა;</li> <li>• მაღალკონდიციური სათესლე მასალის წარმოება;</li> <li>• სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა;</li> <li>• ინვესტიციების მოზიდვა ნისქვილების, ზეთსახდელების, სპირტსახდელებისა და ცხოველთა საკვების მწარმოებელი ქარხნების ასაშენებლად.</li> </ul>	<p><b>3.4 საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სტიქიური მოვლენები: სეტყვა, ქარი და გვალვა;</li> <li>• გამოუცდელი ჯიშების დათესვა;</li> <li>• კალიების გამრავლება და სხვა საშიში მავნებლების ფართო გავრცელება.</li> </ul>








## ბოსტნეული და ბალჩეული კულტურები

<p><b>ძლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნაყოფიერი ნიადაგი და ხელსაყრელი აგროკლიმატური გარემო.</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შესანახი სასაწყობო ფართების ნაკლებობა;</li> <li>• მალფუჭებადი კულტურებისათვის სამაცივრე საწყობების სიმორე და მუნიციპალიტეტებში მათი არარსებობა;</li> <li>• საკონსერვო ქარხნების არარსებობა;</li> <li>• კვალიფიციური აგრონომების ნაკლებობა;</li> <li>• თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელმიუწვდომლობა.</li> </ul>
<p><b>შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რეგიონში, განსაკუთრებით კი, დედაქალაქთან ახლოს მდებარე მუნიციპალიტეტებში, საგარეჯოსა და თელავში, შესაძლებელია სასათბურე მეურნეობების შექმნა;</li> <li>• სანედლეულო ბაზის გაფართოება;</li> <li>• საკონსერვო ქარხნების მშენებლობა;</li> <li>• ბოსტნეულ-ბალჩეული კულტურების შესანახი სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობების შექმნა ინვესტიციების მოზიდვით;</li> <li>• მაღალმოსავლიანი და დარაიონებული ჯიშების გამოყენებით იმპორტირებული არაქისის ადგილობრივი წარმოების პროდუქციით ეტაპობრივი ჩანაცვლება.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გვალვა, წყალდიდობა, სეტყვა და ქარიშხალი;</li> <li>• მავნებლების გამრავლება.</li> </ul>

## მეკარტოფილეობა

<p><b>ძლიერი მხარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნაყოფიერი ნიადაგები;</li> <li>• ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები;</li> <li>• ბიოპროდუქციის წარმოების მაღალი პოტენციალი.</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სავარგულები არ ირწყვება;</li> <li>• თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმიუწვდომლობა, ფერმერები, ძირითადად, ხელით შრომას ეწევიან;</li> <li>• რეგიონში კვალიფიციური აგრონომების ნაკლებობა;</li> <li>• ფერმერებს არ აქვთ მაღალკონდიციური სათესლე მასალა.</li> </ul>
<p><b>შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კახეთის მთიან რეგიონებში ბიო-კარტოფილის წარმოება;</li> <li>• თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვა;</li> <li>• სასაწყობო და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის, აგრეთვე, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეყვანა რეგიონში</li> </ul>	<p><b>საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სტიქიური მოვლენები: სეტყვა, ქარიშხალი, ძლიერი ყინვა.</li> </ul>





## მეხილეობა

<p><b>ძლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნაყოფიერი ნიადაგები, ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები და ხეხილის მრავალფეროვანი ჯიშები;</li> <li>• ბიო-მეხილეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები.</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაბალმოსავლიანი ხეხილის ბალები;</li> <li>• ატმის სიმნიფის პერიოდში მისი რეალიზაციის პრობლემა ან გაყიდვა დაბალ ფასში;</li> <li>• სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევის ხელმიუწვდომლობა;</li> <li>• სამაცივრე მეურნეობების სიმცირე და მომსახურების მაღალი ფასი;</li> <li>• საკონსერვო ქარხნების არარსებობა;</li> <li>• კვალიფიციური აგრონომების ნაკლებობა.</li> </ul>
<p><b>6.3 შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხეხილის ჯიშების თანამედროვე სანერგე მეურნეობების შექმნა;</li> <li>• სერტიფიცირებული ხეხილის ნერგებით ბალების გაშენება;</li> <li>• სამაცივრე მეურნეობების მონყობა მინისქვეშ და ხილის შენახვა იაფი ენერგოდანახარჯებით;</li> <li>• თანამედროვე ტიპის საკონსერვო ქარხნების აშენება;</li> <li>• ხილის წვენების, მურაბებისა და ჯემების წარმოება;</li> <li>• ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრების მოძიება და ათვისება.</li> </ul>	<p><b>6.4 საფრთხეები</b></p> <p><b>საფრთხე, ქარიშხალი, ყინვა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნიადაგის მინისქვეშა მავნებლების გავრცელება.</li> </ul>

## მეხსოველობა

<p><b>7.1 ძლიერი მხარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აგროკლიმატური პირობები;</li> <li>• საძოვრებისა და სათიბების დიდი მასივები.</li> </ul>	<p><b>7.2 სუსტი მხარე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაბალკალორიული საძოვრები;</li> <li>• არსებული პირუტყვის დაბალპროდუქტიულობა;</li> <li>• უმძიმესი ეპიზოოტიური მდგომარეობა;</li> <li>• ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების შემთხვევების მატება;</li> <li>• ცხოველთა გადასარეკი ტრასების მოუწესრიგებლობა;</li> <li>• ცხოველთა ინვენტარიზაციისა და პასპორტიზაციის არარსებობა ;</li> <li>• კერძო ვეტერინარული სექტორის განუვითარებლობა;</li> <li>• სამართლებრივი ბაზის სისუსტე;</li> <li>• სოფლად არსებული ვეტუბნების უმოქმედობა;</li> <li>• ამ სფეროში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;</li> <li>• ჯიშთსაშენი მეურნეობების არარსებობა;</li> <li>• მკვეთრად გაუარესებული ეპიზოოტოლოგიური მდგომარეობა, ცხვარში არსებული დაავადებები, განსაკუთრებით – თურქული.</li> </ul>
<p><b>7.3 შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საძოვრების დიდ მასივებზე ცხოველთა საკვები კულტურების დათესვა, გასარწყავება;</li> <li>• მაღალპროდუქტიული პირუტყვის გამრავლება მორიგეობითი ძოვებით, თანამედროვე ჯიშთსაშენების მონყობა;</li> <li>• ხელოვნური დათესვის პუნქტების მონყობა;</li> <li>• ცხოველთა სასაკლაოების მონყობა;</li> <li>• კერძო ვეტერინარული სისტემის ფორმირება;</li> <li>• რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელი თანამედროვე ტიპის საწარმოების შექმნა.</li> </ul>	<p><b>7.4 საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების ეპიდემია (თურქული, ბრუცელოზი, ცალკეულ შემთხვევებში კი – ჯილეხი).</li> </ul>





## მეფრინველეობა

<p><b>ძლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რეგიონში ფრინველთა – ქათამი, მწყერი, ხოხობი, ინდაური, იხვი, ბატი და ა.შ. სახეობათა გამომრდისთვის ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები.</li> </ul>	<p><b>შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მეფრინველეობის ფაბრიკების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა;</li> <li>• ფრინველის მაღალპროდუქტიული სახეობების შერჩევა და გამრავლება;</li> <li>• ადგილზე საკვებწარმოების ბაზის გაძლიერება;</li> <li>• მეხორცეული მიმართულების მეფრინველეობის განვითარება და იმპორტის ჩანაცვლება.</li> </ul>
<p><b>სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკვებწარმოების ადგილობრივი ბაზის სიმცირე;</li> <li>• თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის სიძვირე;</li> <li>• დაბალპროდუქტიული ფრინველის სახეობები;</li> <li>• კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფრინველის გრიპის ეპიდემიის გავრცელება.</li> </ul>

## მეფუტკრეობა

<p><b>ძლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კახეთში არსებული ტყისა თუ მდელოს მრავალფეროვანი მცენარეები;</li> <li>• მცენარეების ყვავილობის ხანგრძლივი პერიოდი;</li> <li>• ყვავილების უნიკალური თვისებები და მრავალფეროვან ორგანულ ნივთიერებათა კლასების მაღალი შემცველობა.</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დამხმარე ინვენტარისა და მასალების სიძვირე;</li> <li>• ფუტკრის ოჯახების /სკების/ გადასატანი კონტეინერების სიმცირე და ამორტიზაცია;</li> <li>• თანამედროვე ტექნოლოგიების არცოდნა და მათი დანერგვის სიძვირე;</li> <li>• თაფლი არ წარმოადგენს საექსპორტო პროდუქტს;</li> <li>• დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის არასრულყოფილება.</li> </ul>
<p><b>შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თაფლი ექსპორტით გავა ევროპისა და ამერიკის ბაზარზე.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გვალვა, სეტყვა, ქარშხალი და ყინვა;</li> <li>• ფუტკრის დაავადებების გავრცელება.</li> </ul>

## სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა

<p><b>10.1 ძლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კახეთის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გარკვეული ზონების დასამუშავებლად საჭირო თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა უკვე არსებობს;</li> <li>• ქვეყანაში ახალი ტექნიკის შემოსაყვანად მთავრობის პოლიტიკური ნების არსებობა.</li> </ul>	<p><b>10.2 სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტრაქტორების მოძველებული პარკი, ამორტიზებული სასოფლო-სამეურნეო აგრეგატები;</li> <li>• დანაკარგები თესვისა და მოსავლის აღების პერიოდში;</li> <li>• ძველი ტექნიკის მოვლის მაღალი დანახარჯები;</li> <li>• საწვავის მაღალი ფასი, სათადარიგო ნაწილების უზარისხოვა და სიძვირე, შესრულებული აგროტექნიკური სამუშაოების დაბალი ხარისხი;</li> <li>• კვალიფიციური მექანიზატორების ნაკლებობა.</li> </ul>
<p><b>10.3 შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რეგიონის მაპროფილებელი ქვედარგების შესაბამისად ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოყვანა;</li> <li>• მექანიზატორთა არსებული ჯგუფების გადამზადება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა.</li> </ul>	<p><b>10.4 საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამთავრობო პროგრამის შეჩერება ან შეფერხება.</li> </ul>








**სამელიორაციო სისტემა**

<p><b>ქლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>რეგიონის მდინარეების წყალუხვობა და მოხერხებული რელიეფი კახეთის სამელიორაციო სისტემის ქლიერ მხარეს წარმოადგენს.</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მაგისტრალური არხები და შიდა სარწყავი ქსელები მთელ რიგ უბნებზე დაზიანებული და მოშლილია;</li> <li>მოსახლეობის მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენებითა და ბინძურებული მაგისტრალური არხები და სარწყავი წყალი;</li> <li>მექანიკური სარწყავი სისტემები გაუქმებულია საგარეჯოსა და დედოფლისწყაროში, მოშლილია მათზე მიბმული შიდა სარწყავი ქსელი, არაეფექტურია ამ სისტემის მართვის სისტემა;</li> <li>კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.</li> </ul>
<p><b>შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>თვითდინებითი სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის პარალელურად შესაძლებელია მექანიკური სარწყავი სისტემების აღდგენა და კახეთში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასარწყავება;</li> <li>თანამედროვე შიდა სარწყავი სისტემების მოწყობა, ფერმერების ჩართვა შიდა სარწყავი სისტემების მართვაში; შიდა სარწყავი სისტემის ეფექტური მოდელის შექმნა, რომელიც წყლის აღრიცხვიანობასა და თანხების ამოღებას გახდის შესაძლებელს.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>სტიქია, განსაკუთრებით გვალვა;</li> <li>მოსახლეობის მიერ მაგისტრალურ არხებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების ჩაყრა და სარწყავი წყლის დაბინძურება.</li> </ul>

**ინფრასტრუქტურა**

<p><b>1.1 ქლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>ელექტროფიკაციის მაღალი დონე;</li> <li>ცენტრალური გზების საკმაოდ კარგი მდგომარეობა.</li> </ul>	<p><b>1.2 სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მოსახლეობისთვის წყლის მიწოდების შეფერხება;</li> <li>სივრცითი მოწყობის გეგმის არარსებობა;</li> <li>კახეთის სოფლების უმრავლესობა გაზიფიცირებული არ არის;</li> <li>გაუმართავი შიდა გზები;</li> <li>გარე განათების გამართული სისტემით ქ. დედოფლისწყაროს მხოლოდ 35% და დიდი სოფლების ცენტრალური ქუჩებია უზრუნველყოფილი;</li> <li>ხშირია ელექტროენერჯის დაბალი ძაბვით მიწოდება, მათ შორის ქალაქებში;</li> <li>საზოგადოებრივი ტრანსპორტი (ავტომობილები) საკმაოდ ამორტიზირებულია;</li> <li>ინტერნეტ ქსელში მოსახლეობის ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი;</li> <li>ქალაქებსა და სოფლებში კოლექტიური ნაგავსაყრელების არარსებობა.</li> </ul>
<p><b>1.3 შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>რეგიონის მთლიანი გაზიფიცირება;</li> <li>ალტერნატიული ენერჯის ათვისება;</li> <li>უწყვეტი და ხარისხიანი წყალმომარაგების უზრუნველყოფა;</li> <li>შიდა გზების რეაბილიტაცია;</li> <li>ნაგავსაყრელების მართვის უზრუნველყოფა;</li> <li>შპმ პირებისთვის ინფრასტრუქტურის შექმნა;</li> <li>შიდა გზების განვითარება;</li> <li>წყალმომარაგების სისტემის განვითარება;</li> <li>ინტერნეტკავშირით მთლიანი ტერიტორიის მოცვა.</li> </ul>	<p><b>1.4 საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>ბუნებრივი კატასტროფების მიერ ინფრასტრუქტურის დაზიანება.</li> </ul>






## ბარემოს დასვა

### სატყეო სექტორი და ბიომრავალფეროვნება

<p><b>2.1 ძლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტყეების თვითაღდგენის უნარი;</li> <li>• ტყის არამერქნული რესურსის მნიშვნელოვანი მარაგები.</li> </ul>	<p><b>2.2 სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კახეთის რეგიონის ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და სამოქმედო გეგმის არარსებობა;</li> <li>• ტყის უკონტროლო გაჩეხვა;</li> <li>• არ ჩატარებულა ტყის ინვენტარიზაცია;</li> <li>• 20 წელი არ ჩატარებულა სრულფასოვანი ფიტოპათოლოგიური და ფიტოსანიტარული სამუშაოები;</li> <li>• არ არსებობს წითელი ნუსხა;</li> <li>• სამონადირეო სფეროზე სახელმწიფოს კონტროლი ეფექტურად ვერ ხდება;</li> <li>• ჭალის ტყეების დიდი ნაწილი განადგურებულია და მიმდინარეობს ბუნებრივი რესურსების უკანონო ამოღება;</li> <li>• ფიტოპათოლოგიური კვლევების ჩატარებლობა;</li> <li>• სანერგე მეურნეობების სიმცირე.</li> </ul>
<p><b>2.3 შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტყეების პოტენციალის გამოყენებით ტურისტული, რეკრეაციული და ბალნეოლოგიური ტურიზმის განვითარება;</li> <li>• კონტროლისა და სანქციების დანერგვა ტყის უკანონო ჭრაზე.</li> </ul>	<p><b>2.4 საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არსებული პრობლემებისა და გამოწვევების უგულვებლყოფა.</li> </ul>

### დასული ტერიტორიები

<p><b>ძლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაცული ტერიტორიების სიმდიდრე;</li> <li>• ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების დონეზე არსებული დახვეწილი კანონმდებლობა;</li> <li>• დაცული ტერიტორიების დაცვის რეჟიმის გამართული მუშაობა;</li> <li>• დაცული ტერიტორიების მიმართ საქართველოს მოსახლეობის ინტერესის ზრდა;</li> <li>• ამ სფეროში დასაქმებული კადრების პროფესიონალიზმი.</li> </ul>	<p><b>შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაცული ტერიტორიების განვითარება;</li> <li>• აზერბაიჯანთან ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიების შექმნის შესაძლებლობა.</li> <li>•</li> </ul>
<p><b>სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაცული ტერიტორიების ნაწილისთვის მართვის გეგმების არარსებობა;</li> <li>• დაცული ტერიტორიების ნაწილის ტურისტული პოტენციალის შეუფასებლობა;</li> <li>• თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებს შორის ნაკლები თანამშრომლობა;</li> <li>• სახელმწიფო დაფინანსების სიმცირე;</li> <li>• დაცული ტერიტორიების არამკაფიო შიდა და გარე ზონირება;</li> <li>• ხელმისაწვდომი ელექტრონული რესურსების სიმცირე;</li> <li>• სამეცნიერო კვლევების ნაკლებობა;</li> <li>• საზოგადოებრივი მონიტორინგის სისტემის არარსებობა.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გარემოს დაცვისა და დაცული ტერიტორიების განვითარების პრიორიტეტულობის შესაძლო ცვლილება ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად.</li> </ul>





## ატმოსფერული ჰაერის მართვა

<p><b>ძლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რეგიონში სამრეწველო საწარმოების ნაკლებობა;</li> <li>• ჰაერის მართვის საკითხების მიმართ ხელისუფლების დაინტერესებულობის ზრდა.</li> </ul>	<p><b>4.2 სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სეზონურად ფოთლის წვის შედეგად ჰაერის დაბინძურება;</li> <li>• მოქმედ საწარმოებში ფილტრების არქონა;</li> <li>• ჰაერის ხარისხის შემოწმებული ლაბორატორიის არარსებობა;</li> <li>• თანამედროვე სტანდარტებთან სრულ შეუსაბამობაში მყოფი თვითნებური ნაგავსაყრელები;</li> <li>• ჰაერის დაბინძურება ავტომანქანების გამონაბოლქვით– ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილების დიდი რაოდენობა.</li> </ul>
<p><b>4.3 შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჰაერის მართვის საკითხის მიმართ მსოფლიო და ეროვნული საზოგადოების ინტერესის ზრდა;</li> <li>• ავტომობილებისათვის ტექნიკური დავალიერების სისტემის შემოღება.</li> </ul>	<p><b>4.4 საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ატმოსფერული ჰაერის მართვის საკითხის მნიშვნელობის უგულვებელყოფა;</li> <li>• ავტომობილებისა და საწარმოების მიერ ჰაერის დაბინძურების ზრდის საშიშროება.</li> </ul>

## ბუნებრივი კატასტროფების მართვა

<p><b>ძლიერი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირებისთვის მუნიციპალიტეტებში შექმნილი დოკუმენტური ბაზა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურები;</li> <li>• რვავე მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული და საკრებულოს მიერ დამტკიცებულია ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმები;</li> <li>• რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სამაშველო სამსახურები;</li> <li>• ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების მიმართ სახელმწიფოს და ასევე, სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან გაზრდილი ინტერესი.</li> </ul>	<p><b>სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სტიქიური მოვლენების დროს ზარალის აღრიცხვის, გამოანგარიშების და ფერმერთა კომპენსირების ეფექტური მოდელის არარსებობა;</li> <li>• მუნიციპალიტეტებისთვის ბუნებრივი კატასტროფების რისკების შეფასების არარსებობა;</li> <li>• არსებული გეგმები არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და არ ითვალისწინებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საჭიროებებს;</li> <li>• კვალიფიციური კადრებისა და ტექნიკური რესურსის სიმცირე;</li> <li>• წინასწარი შეტყობინების სისტემის არარსებობა;</li> <li>• საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსახლეობასთან ნაკლები კომუნიკაცია;</li> <li>• მოსახლეობის განათლების დაბალი დონე;</li> <li>• ფინანსური რესურსების სიმცირე.</li> </ul>
<p><b>შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კატასტროფების რისკების შემცირების, პრევენციისა და მართვის შესახებ საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა;</li> <li>• ინოვაციური მიდგომების გამოყენების შესაძლებლობა.</li> </ul>	<p><b>საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მდინარეებსა და ხევებზე ნაპირსამაგრი სისტემის არარსებობა;</li> <li>• სტიქიური უბედურების სიხშირე და დიაპაზონის ზრდა.</li> </ul>








## ბარემოსდასვითი ბანათლება

<p><b>6.1 ქლიარი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ზოგადი ხასიათის სამოქმედო გეგმის არსებობა;</li> <li>• არასამთავრობო სექტორის აქტიურობა;</li> <li>• საჯარო სკოლების დიდ ნაწილში ეკოლოგიური კლუბების არსებობა;</li> <li>• თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნების-სმეტყველო სპეციალობების არსებობა;</li> <li>• გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების დეპარტამენტის არსებობა საქართველოს გარემოსდაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.</li> </ul>	<p><b>6.2 სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სახელმწიფო სტრატეგიაში რეკომენდაციები ზოგად ხასიათს ატარებს და არ ითვალისწინებს რეგიონულ და ადგილობრივ სპეციფიკას;</li> <li>• გარემოსდაცვითი განათლება არ არის პრიორიტეტული მიმართულება;</li> <li>• კახეთის რეგიონში ეკოლოგიური განათლების შესახებ პროექტების სიმცირე;</li> <li>• სასკოლო და საუნივერსიტეტო პროგრამებში სავალდებულო გარემოსდაცვითი საგნების ნაკლებობა;</li> <li>• რეგიონში სპეციალისტების სიმცირე.</li> </ul>
<p><b>6.3 შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გარემოსდაცვითი განათლების მიმართ სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობების დაინტერესებულობის ზრდა.</li> </ul>	<p><b>6.4 საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გარემოსდაცვითი პრობლემების ზრდისა და გარემოსდაცვითი განათლების არაპროპორციულობა.</li> </ul>

## განახლებადი და ალტერნატიული ენერჯის გამოყენება

<p><b>7.1 ქლიარი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივი მოსახლეობა დაინტერესებულია ალტერნატიული ენერჯების გამოყენებით;</li> <li>• სახელმწიფო დაინტერესებულია ალტერნატიული ენერჯების პოტენციალის ათვისებითა და გამოყენებით;</li> <li>• განახლებადი (ჰიდრორესურსების) ენერჯის რესურსის ათვისება სახელმწიფო პრიორიტეტს წარმოადგენს;</li> <li>• კახეთის რეგიონში დაგეგმილია და უკვე მიმდინარეობს მცირე ჰესების მშენებლობა.</li> </ul>	<p><b>7.2 სუსტი მხარეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა;</li> <li>• შეუფასებელია კახეთში ქარისა და განსაკუთრებით, მზის ენერჯის პოტენციალი;</li> <li>• არ არსებობს განახლებადი და ალტერნატიული ენერჯების ათვისებისას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ერთიანი სისტემა;</li> <li>• სრულყოფილად არ არის შეფასებული გარემოსდაცვითი რისკები.</li> </ul>
<p><b>7.3 შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჰიდრორესურსების სიმდიდრე;</li> <li>• რეგიონში ახალი მცირე ზომის ჰესების მშენებლობის შესაძლებლობა;</li> <li>• რეგიონში ბიოსანვავის წარმოების შესაძლებლობა;</li> <li>• მუნიციპალიტეტებში ენერგოდამზოგავი და ენერჯის ალტერნატიულ წყაროებზე მომუშავე ნათურების დამონტაჟება.</li> </ul>	<p><b>7.4 საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გლობალური ეკოლოგიური კატაკლიზმების პირობებში ჰიდრო რესურსების შემცირების ტენდენცია და არასტაბილურობა.</li> <li>•</li> </ul>





## VII. რეგიონის განვითარების პრიორიტეტები, ხელვა, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები.

### რეგიონის განვითარების პრიორიტეტები

- რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება
- მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლება
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება

### რეგიონის განვითარების 8-წლიანი ხელვა

2021 წლის ბოლოსთვის კახეთიდან შემცირდება მიგრაცია, მიღწეული იქნება მოსახლეობის ბუნებრივი მატება; თვითდასაქმება შემცირდება და გაიზრდება აგრომრეწველობასა და ტურიზმში დასაქმებულთა რაოდენობა; აგრომრეწველობაში, ტურიზმსა და მთელ რიგ სანარმოებში, სადაც ადგილობრივი ნედლეული საშუალებას მისცემს წარმოების განვითარებას, მოზიდული იქნება ინვესტიციები, მოხდება დარგების სახელმწიფო მხარდაჭერა; განვითარდება ფერმერული და ოჯახური მეურნეობები, სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობები, საკონსერვო სანარმოები; სოფლის მეურნეობაში დანერგული იქნება ახალი ტექნოლოგიები და ფერმერისთვის ხელმისაწვდომი იქნება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა; აღდგება საირიგაციო სისტემები, გაიზრდება მოსავლიანობა; რეგიონში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ჩაანაცვლებს იმპორტულ ანალოგებს, გაიყიდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და გავა ექსპორტზე; სექტორებში იმუშავებენ კვალიფიციური კადრები, შეიქმნება პროფესიული ასოციაციები.

რეგიონში შიდა გზების დაგება გაგრძელდება; ქალაქებსა და სოფლებში წყლის მიწოდება გაუმჯობესდება, საკანალიზაციო სისტემით სარგებლობას უფრო მეტი ოჯახი შეძლებს, მოწყობილი იქნება ნაგავსაყრელები; რეგიონის თვითმმართველობის სტრუქტურებში, სასწავლო დაწესებულებებში, ოფისებსა და ოჯახებში იქნება ინტერნეტი, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის გაცვლას, განათლებასა და საქმიანი ურთიერთობების განვითარებას; შშმ პირებისთვის სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა დაიწყება; მოსახლეობა ისარგებლებს ალტერნატიული ენერჯის წყაროებით, რის გამოც კომუნალური გადასახადების თანხა შემცირდება.

კახეთში შენარჩუნდება ბიომრავალფეროვნება, გაუმჯობესდება დაცული ტერიტორიების მართვა, დაინერგება ატმოსფერული ჰაერის თანამედროვე მართვა და ასევე, განვითარდება ბუნებრივი კატასტროფების მართვისა და პრევენციის სისტემა.

კახეთში საბავშვო ბაღებისა და საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვა გაგრძელდება; თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და რეგიონის პროფესიულ სასწავლებლებში მიღებული ცოდნითა და კვალიფიკაციით გაადვილდება მუშაობის დაწყება; იმუშავებს არაფორმალური განათლების კერები და გამაჯანსაღებელი ობიექტები.

ამბულატორიების რეაბილიტაცია გაგრძელდება, სტაციონარებში იმუშავებენ კვალიფიციური სპეციალისტ-ექიმები; შემცირდება ახალ დაავადებათა რაოდენობა, განმტკიცდება ჯანსაღი ცხოვრების წესი, გაიზრდება შობადობა.

რეგიონში გაიზრდება ურთიერთთანამშრომლობა თვითმმართველობას, ცენტრალურ ხელისუფლებას, არასამთავრობო და ბიზნესსექტორებს შორის; მოსახლეობა აქტიურად ჩაერთვება საზოგადოებრივ და სამეურნეო საქმიანობაში; რეგიონი მიზიდველი გახდება ინვესტორებისა და ტურისტებისთვის; კახეთში ცხოვრების კარგი პირობები იქნება ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

## 2014-2021 წლების სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები

### სოფლის მეურნეობა

**მიზანი 1. ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხარისხის გაუმჯობესება.**

**ამოცანა 1.1 ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხარისხის გაუმჯობესება ინვენტარიზაცია.**

მოხდება ს/ს მიწების, მ.შ ვენახების ინვენტარიზაცია, შეიქმნება მინის მესაკუთრეთა მონაცემთა ბაზა.

**ამოცანა 1.2. ს/ს მიწების ჩარეცხვის შეჩერება.**

საჭიროების შესაბამისად ჩატარდება ნაპირსამაგრი სამუშაოები.





**ამოცანა 1.3. ნათესების დაზიანების შეჩერება.**

ჩატარდება კალიების წინააღმდეგ საჭირო ღონისძიებები.

**მიზანი 2. მეღვინეობის საექსპორტო პოტენციალის ზრდა ხარისხის ამაღლებისა და საკანონმდებლო ბაზის დახვეწის გზით.**

**ამოცანა 2.1. ყურძნის ხარისხის გაუმჯობესება.**

შეიქმნება სანერგე მეურნეობები და ნერგების შესამონმებელი ლაბორატორიები.

**ამოცანა 2.2: საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება.**

ცენტრალურ დონეზე შემუშავდება ღვინის დანაკარგების ნორმატივები, ქართული კანონმდებლობა ჰარმონიზებული იქნება შესაბამის საერთაშორისო ნორმატიულ აქტებთან.

**ამოცანა 2.3. დარგის კვალიფიციური კადრებით აღჭურვა.**

პროფესიულ სასწავლებლებსა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაინერგება მევენახე-ფერმერთა და მეღვინეთა მომზადება-გადამზადების სასწავლო პროგრამები.

**მიზანი 3. ცენტრალურ და ადგილობრივი მთავრობების ხელშეწყობით მეღვინეობის განვითარება საშუალო და მცირე წარმოების სტიმულირებით.**

**ამოცანა 3.1: გამოშვებულ პროდუქციაში მცირე და საშუალო საწარმოების წილის ზრდა.**

ღვინის მწარმოებელ მცირე და საშუალო ქარხნებში მოხდება ინვესტიციების ჩადების მიზანშეწონილობის შესწავლა. რეკლამის მიზნით ჩატარდება საოჯახო ღვინის ფესტივალები და გამოფენები.

**მიზანი 4. მარცვლეულობის მოცულობისა და ხარისხის ზრდა.**

**ამოცანა 4.1. ჯიშთა დარაიონება და მაღალკონდიციური სათესლე მასალის წარმოება.**

შეიქმნება ჯიშთა გამოცდისა და სათესლე მეურნეობები. მოხდება ადრე არსებული მეურნეობის აღდგენა. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს წარმოებული სათესლე მასალის მაღალ ხარისხს.

**ამოცანა 4.2. ადგილობრივი პროდუქციის ხარისხის გაზრდა.**

თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტიციები ჩაიდება. შეიქმნება თანამედროვე სასაწყობე მეურნეობების, საშრობების, დასაფასოებელი საწარმოებისა და ხარისხის კონტროლის ლაბორატორია. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს გამოშვებული პროდუქციის მაღალ ხარისხს.

**ამოცანა 4.3. სიმინდის წარმოების გაზრდა.**

რეგიონში მოხდება სიმინდის ჯიშების დარაიონება და მაღალკონდიციური სათესლე მასალის გამოყვანა, რაც სიმინდის წარმოების ზრდას შეუწყობს ხელს.

**მიზანი 5. ბოსტნეულ-ბალჩეული კულტურების გადამუშავების განვითარება.**

**ამოცანა 5.1. ბოსტნეულ-ბალჩეული საკონსერვო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა.**

ბოსტნეულ-ბალჩეული კულტურების წარმოებაში თანამედროვე აგროტექნოლოგიური მეთოდები დაინერგება, ჩაიდება ინვესტიციები საკონსერვე, სამაცივრე და შესანახ სასაწყობე მეურნეობაში, რის შედეგადაც მოხდება ბოსტნეულ-ბალჩეული საკონსერვო პროდუქციის წარმოების განვითარება.

**ამოცანა 5.2. არაქისის წარმოების გაზრდა.**

მოხდება არაქისის წარმოების გაფართოება, გატარდება ადგილობრივი ბაზრის ათვისებაზე მიმართული მარკეტინგული ღონისძიებები, რის შედეგად გაიზრდება არაქისის წარმოება.

**მიზანი 6. ბიო-მეკარტოფილეობის განვითარება.**

**ამოცანა 6.1. მთიან რეგიონებში ბიოკარტოფილის წარმოება.**

ჩატარდება ნიადაგის ანალიზები და შეიქმნება სასაწყობე მეურნეობები.

**მიზანი 7. მეხილეობის შემდგომი განვითარება ატმისა და გარგლის გაშენებით და შესანახვი მეურ-**







**ნეობებისა და გადამამუშავებელი საწარმოს შექმნით.**

**ამოცანა 7.1. ატმისა და გარგლის გაშენება.**

შეიქმნება ატმის თანამედროვე სანერგე მეურნეობები და გაშენდება ინტენსიური ბაღები. შეიქმნება ყინვაგამძლე გარგლის სანერგე მეურნეობები, რის შედეგად ატმისა და გარგლის პროდუქციის მოცულობა გაიზრდება.

**ამოცანა 7.2. ხილის შენახვა-გადამამუშავება.**

შეიქმნება ხილის საცავები და აშენდება თანამედროვე საკონსერვო წარმოება, რის შედეგადაც დაიწყება ხილის შენახვა და დაკონსერვება.

**მიზანი 8. მეფუტკრეობა: თაფლის წარმოების ზრდა და მისი საექსპორტო პროდუქტად აღიარება.**

**ამოცანა 8.1. ფერმერთა ხელშეწყობა თაფლის და მისი თანმდევი პროდუქციის წარმოებაში.**

მეფუტკრეებისთვის დამხმარე ინვენტარისა და მასალების შეძენის, სკების გადასატანი კონტეინერების მიწოდებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გზით მოხდება თაფლის და მისი თანმდევი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა.

**ამოცანა 8.2. თაფლის საექსპორტო პროდუქტად აღიარება.**

ცენტრალურ დონეზე სამართლებრივი ბაზის შექმნით და საერთაშორისო ორგანიზაციებში განვერინების გზით მოხდება კახეთში წარმოებული თაფლის საექსპორტო პროდუქტად აღიარება.

**მიზანი 9. მეცხოველეობა: ხარისხის გაუმჯობესება და პროდუქციის წარმოების განვითარება.**

**ამოცანა 9.1. ცხოველთა დაავადებების პრევენცია.**

რეგიონში ჩატარდება ცხოველთა ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია, ასევე, ცხოველთა განსაკუთრებით საშიშ დაავადებებზე, როგორც არის თურქული, ბრუცელოზი და ჯილეხი, დროული ვაქცინაცია გაკეთდება, რის შედეგადაც შემცირდება დაავადებათა შემთხვევები და ეპიდემიის საშიშროება.

**ამოცანა 9. 2. ვეტერინარული სისტემის ეფექტურობის გაზრდა.**

ცენტრალურ დონეზე შეიქმნება და ამოქმედდება ვაქცინების ხარისხის კონტროლის ეფექტური მექანიზმი, შეიქმნება კერძო ვეტერინარული საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა. ეს ღონისძიებები ხელს შეუწყობს სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებას.

**ამოცანა 9.3. რძის და ხორცის წარმოების განვითარება.**

შეიქმნება ჯიშთსაშენების, ხელოვნური დათესვის პუნქტები, აშენდება თანამედროვე ფერმები, მოხდება ინვესტიციების მოზიდვა რძისა და რძის პროდუქტების თანამედროვე საწარმოების შექმნასა და ხორცის წარმოებაში.

**მიზანი 10. მეფრინველეობა. საოჯახო და მცირე ზომის ფერმერული მეურნეობების წახალისება, ადგილობრივ ბაზარზე იმპორტის ჩანაცვლება.**

**ამოცანა 10.1. მაღალხარისხიანი ხორცისა და კვერცხის წარმოება.**

რეგიონში მოხდება მაღალპროდუქტიულ ფრინველთა სახეობების გამრავლება, საოჯახო და მცირე ზომის ფერმერული მეურნეობების წახალისება, რაც გაზრდის მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების მოცულობასა და კონკურენტუნარიანობას.

**ამოცანა 10.2. ადგილობრივ ბაზარზე იმპორტის ჩანაცვლება.**

თელავის მეფრინველეობის ფაბრიკა კერძო სექტორის ძალისხმევით ამოქმედდება, მოხდება ფაბრიკის თანამედროვე ტექნოლოგიებითა და კვალიფიციური კადრებით აღჭურვა, ფაბრიკასა და მცირე საფერმერო მეურნეობებში წარმოებული კვერცხისა და ხორცის გაყიდვების ქსელი აენიჭება საქართველოს სხვა რეგიონებშიც.

**მიზანი 11. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და ნაირსახეობის უზრუნველყოფა.**

**ამოცანა 11.1: სერვის-ცენტრების ადგილი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა.**





მოხდება სერვის ცენტრების გახსნა, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება სერვის ცენტრების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა.

**ამოცანა 11.2. ყველა სახის ტექნიკის ხელმისაწვდომობა.**

მოხდება ვაზისა და ხეხილის სარგავ- სათესი, ნიადაგის გამაფხვიერებელი ტექნიკის შეტანა, სასუქის შემტანი და მოსავლის ამღები ტექნიკით უზრუნველყოფა. შედეგად რეგიონის მოსახლეობისთვის იქნება წარმოდგენილი ყველა სახის ტექნიკა.

**ამოცანა 11.3. მექანიზატორთა კვალიფიკაციის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობა.** რეგიონის პროფესიულ სასწავლებლებში მოხდება მექანიზატორთა კვალიფიკაციის ამაღლება, რაც უზრუნველყოფს ამ პროფესიის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

**მიზანი 12. მელიორაცია: შიდა სარწყავი ქსელების აღდგენა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა, სატუმბო სადგურებისა და შიდა სარწყავი ქსელების აღდგენა.**

**ამოცანა 12.1. სარწყავი სისტემების აღდგენა.**

სარწყავი სისტემების, სათავე ნაგებობების, მაგისტრალური არხების, ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და შიდა სარწყავი ქსელების აღდგენა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა მოხდება.

**ეკონომიკა (სოფლის მეურნეობის ბარდა)**

**მიზანი 13.. არასასოფლო-სამეურნეო წარმოების პოტენციალის განვითარება ნედლეულის ბაზის შესწავლითა და მენარმეთა ხელშეწყობით**

**ამოცანა 13.1 ნედლეულის ბაზის შესწავლა.**

მოხდება რეგიონის ნედლეულის ბაზის შესწავლა და ახალი საწარმოების შექმნის შესაძლებლობის განსაზღვრა შერჩეული კრიტერიუმებით.

**ამოცანა 13.2 მენარმეთა ხელშეწყობა.**

შეიქმნება საკონსულტაციო ცენტრები, სადაც ბიზნესის წარმომადგენლებს კვალიფიციურ კონსულტაციებს გაუწევენ საგადასახადო საკითხებზე, ფინანსური რესურსების მოზიდვისა და საწარმოს ფინანსების მართვის საკითხებთან დაკავშირებით. შედეგად შესწავლილი იქნება არსებული ნედლეული და საწარმოო პოტენციალი და მოხდება მენარმეების საჭირო ინფორმაციით აღჭურვა.

**მიზანი 14. ტურიზმის განვითარება ახალი მიმართულებების ათვისებით, ინფრასტრუქტურის განვითარებით, მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებით.**

**ამოცანა 14.1 ტურიზმის პოტენციალის ათვისება.**

რეგიონის ტურიზმის პოტენციალის ათვისების შემთხვევაში მოხდება რეკრეაციული, სათავგადასავლო, ეკოტურიზმის, აგროტურიზმის განვითარება. ბალნეოლოგიური კურორტები განვითარდება გურჯაანისა (ახტალა) და საგარეჯოს (უჯარმა) მუნიციპალიტეტებში. შეიქმნება ტურისტული ბაზები, ზაფხულში საფეხმავლო მარშრუტები, ხოლო ზამთარში სათხილამურო ტურიზმი განვითარდება (მთა ცივი) თელავის მუნიციპალიტეტში.

**ამოცანა 14.2 ტურიზმის ხელშეწყობა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით.**

წყალმომარაგება გაუმჯობესდება, ნაგავსაყრელები მონესრიგდება (სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა გაუმჯობესდება, მანანალა ცხოველების პრობლემა მოგვარდება), იქნება მოწყობილი გზები, რაც რეგიონს ტურისტებისთვის მიზიდულობასა და კონკურენტუნარიანს გახდის.

**ამოცანა 14.3 კადრების კვალიფიკაციის ამაღლება.**

რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებები ტურისტული ბიზნესის შესახებ კურსებსა და ტრენინგებს ჩაატარებენ, სადაც დაინტერესებული პირები ტურისტული ბიზნესის დაწყებისა და მართვისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას შეიძენენ. ტურიზმის სფეროში შეიქმნება პროფესიული ასოციაცია, რომლის მიზანი იქნება დარგის ინტერესების ლობირება, საქმიანი ურთიერთობების დამყარება, მომსახურების განვითარება, სახსრების მოძიება და დარგში მომუშავე ხალხის ჩართულობის ამაღლება.





**მიზანი 15. რეგიონის განვითარება ინვესტიციების მოზიდვით.**

**ამოცანა 15.1. ინვესტიციები სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ მრეწველობაში.**

მოხდება რეგიონის საინვესტიციო საჭიროებების შესწავლა და მიზანშეწონილობის შემთხვევაში ინვესტირება განხორციელდება ჯიშთა გამოცდისა და სათესლე მეურნეობებში, (წნორის, გურჯაანისა და თელავის ჯიშთა გამოცდის მეურნეობები), სასათბურე, საცდელ, სანერგე და თანამედროვე სასაწყობე მეურნეობებში, დასაფასოებელ საწარმოებში, საშრობებსა და სამაცივრეებში, საკონსერვო, სამაცივრე და შესანახ სასაწყობე მეურნეობებში, არაქისის წარმოებაში, თანამედროვე საკონსერვო საწარმოებში, თაფლის მცირე და საშუალო წარმოებაში, რძისა და ხორცის თანამედროვე საწარმოებში, მეფრინველეობის ფაბრიკაში. ასევე, მიზანშეწონილობის შემთხვევაში ინვესტიციების ჩადება მოხდება ზემო და ქვემო ალაზნის თვითდინებით სარწყავ სისტემებში, სათავე ნაგებობებში, მაგისტრალური არხების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაციაში, მექანიკურ სარწყავ სისტემებში, სატუმბ სადგურებში, შიდა სარწყავ სისტემებში. ამის შედეგად მოხდება მრეწველობის მოდერნიზება და გაიზრდება გამოშვებული პროდუქციის მოცულობა და კონკურენტუნარიანობა.

**ამოცანა 15.2. ინვესტირება ტურიზმში.**

შესწავლილი იქნება და მიზანშეწონილობის შემთხვევაში მოხდება ინვესტირება ტურისტულ ბაზებში, რეკრეაციულ ტურიზმში, ეკოტურიზმში, ბალნეოლოგიური კურორტების განვითარებაში (გურჯაანსა (ახტალა) და საგარეჯოში (უჯარმა)), რაც ხელს შეუწყობს კახეთის ტურისტული პოტენციალის ათვისებას.

**ამოცანა 15.3. ინვესტიციები ალტერნატიულ ენერჯიაში.**

მოხდება ბიოსანვავში ინვესტიციების ჩადების მიზანშეწონილობის შესწავლა და პროექტების განხორციელება. მოხდება ალტერნატიული ენერჯიის წყაროების ათვისება და განვითარება, ხოლო ელექტროენერჯია უფრო ხელმისაწვდომი გახდება მოსახლეობისთვის და რეგიონული ეკონომიკისთვის.

**ინფრასტრუქტურა**

**მიზანი 16. მოსახლეობის მაღალი ხარისხის სასმელი წყლით მომარაგება და საცხოვრებელი სახლების კანალიზაციის სისტემაში მიერთება.**

**ამოცანა 16.1. სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფა.**

მოხდება ამორტიზირებული ქსელების რეაბილიტაციის ხელშეწყობა. ასევე, გაუმჯობესდება სათავე ნაგებობების სისტემა. შედეგად შესაძლებელი გახდება მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესება.

**ამოცანა 16.2. რეგიონის სოფლებში სასმელი წყლის მიწოდების უზრუნველყოფა.**

მოძველებული წყლის ქსელების გამოცვლა და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაცია გაგრძელდება. შედეგად შესაძლებელი გახდება სოფლების უკეთესი წყალმომარაგება.

**ამოცანა 16.3. სასმელი წყლის დანაკარგების აღმოფხვრა.**

გაგრძელდება მრიცხველების დამონტაჟება. დაწესდება წყლის არამიზნობრივ და უყაირათო მოხმარებაზე სანქციები. შედეგად მკვეთრად შემცირდება წყლის დანაკარგები.

**ამოცანა 16.4. საკანალიზაციო სისტემის მშენებლობის გაგრძელება.**

გაგრძელდება საკანალიზაციო ქსელების გაყვანა და არსებული საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაცია.

**ამოცანა 16.5. წყლის ხარისხის კონტროლი.**

განხორციელდება წყლის გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია და მშენებლობა .

**მიზანი 17. წყლის მომარაგებისა და ნარჩენების მართვის ეფექტურობის ამაღლება.**

**ამოცანა 17.1. სოფლის წყლის მიწოდებისა და ნარჩენების გატანის მომსახურების სუბსიდირების წილის შემცირება და თვითდაფინანსების წილის ზრდა.**

სოფლის წყლის მიწოდებასა და ნარჩენების გატანაზე გადასახადი დაწესდება. დაინერგება ტარიფის დადგენა-ამოღების სისტემა და მოხდება მისი ადმინისტრირება.

**ამოცანა 17.2. ფინანსური რესურსების ეფექტური გამოყენება.**

თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან გამოთავისუფლებული თანხები რეინვესტირებული იქნება







სოფლის წყლის მიწოდებისა და ნარჩენების გატანის მომსახურების განვითარებაში. შედეგად მიღწეული იქნება ფინანსური რესურსების უფრო ეფექტური გამოყენება.

**მიზანი 18. მოსახლეობის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა.**

**ამოცანა 18.1. რეგიონში ბუნებრივი აირის ქსელის გაფართოება.**

სოფლებში ცენტრალური გაზსადენის შეყვანა გაგრძელდება და დამონტაჟდება მრიცხველები. შედეგად ბუნებრივი აირი მიეწოდება რეგიონის მოსახლეობის უფრო მეტ ნაწილს.

**მიზანი 19. შიდა გზების აღდგენა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.**

**ამოცანა 19.1. პრობლემური ზონების რეაბილიტაციის გაგრძელება.**

ქალაქებში ქუჩებისა და სანიაღვრე ქსელების რეაბილიტაცია გაგრძელდება, სოფლებში კი – ცენტრალური სასოფლო გზების და სანიაღვრე სისტემების.

**მიზანი 20. რეგიონში გარე განათების გაუმჯობესება.**

**ამოცანა 20.1. გარე განათების გაუმჯობესება.**

საჭიროების შესაბამისად გაუმჯობესდება დასახლებული პუნქტების გარე განათებით უზრუნველყოფა.

**მიზანი 21. რეგიონის მოსახლეობის ჩართვა ინტერნეტში.**

**ამოცანა 21.1. რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტის ინტერნეტით დაფარვის გაზრდა.**

შესაბამისი კავშირგაბმულობის სისტემებისა და ობიექტების დანერგვა/დამონტაჟება განხორციელდება იმისათვის, რომ ყველა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული ინტერნეტში ჩაერთოს. საჯარო დაწესებულებები და სასწავლო ობიექტები ინტერნეტით იქნება უზრუნველყოფილი. დასახლებულ პუნქტებში ინტერნეტის გაყვანილობა მოწესრიგდება. შედეგად ინტერნეტის ხელმისაწვდომობა გაიზრდება, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის განათლებას და რეგიონის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას.

**ბარემოს დასვა**

**მიზანი 22. სტიქიური ნაგავსაყრელების გაუქმება და ნარჩენების ორგანიზებული მართვა.**

**ამოცანა 22.1. ნაგავსაყრელების მონყოფა.**

რეგიონში საჭირო რაოდენობის ორგანიზებული ნაგავსაყრელები მოეწყობა. შედეგად გაუმჯობესდება ეკოლოგიური მდგომარეობა, იერსახე და ასევე, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი.

**მიზანი 23. რეგიონის სამომავლო განვითარებისთვის სივრცით-ტერიტორიული გეგმების შექმნა.**

**ამოცანა 23.1. სივრცით-ტერიტორიული გეგმების შემუშავება.**

რეგიონში მოხდება სივრცით-ტერიტორიული გეგმების შემუშავება და ამოქმედება.

**მიზანი 24: ტყისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება ინვენტარიზაციისა და ბიომრავალფეროვნების დაცვით.**

**ამოცანა 24.1. ტყეების ინვენტარიზაცია.**

ჩატარდება ტყეების სტრატეგიული ზონირება და ინვენტარიზაცია. ასევე, ჩატარდება საძოვრებისა და არასატყეო ფართობების იდენტიფიცირება.

**ამოცანა 24.2: ბიომრავალფეროვნების დაცვა.**

გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფ მცენარეთა და ცხოველთა მონაცემთა ბაზა შეიქმნება. კახეთის რეგიონის ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და ნითელი ნუსხა შემუშავდება. მოხდება ქალის ტყეების კონსერვაცია (ერთიანი მიდგომების გამოყენებით) და ჩატარდება ფიტოპათოლოგიური კვლევები. რეგიონში შეიქმნება სანერგე მეურნეობები, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის ბიომრავალფეროვნების დაცვას.





**მიზანი 25: დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება და მათი ტურისტული პოტენციალის გაზრდა.**

**ამოცანა 25.1. დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესება.**

ცენტრალურ დონეზე შემუშავდება ბანარა-ბაბანეურის, მარიამჯვრის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის, ივრის და ჭაჭუნას დაცული ტერიტორიების მართვის გეგმები.

**ამოცანა 25.2. ტურისტული პოტენციალის შეფასება.**

ცენტრალურ დონეზე კახეთის რეგიონის ყველა დაცული ტერიტორიისთვის მომზადდება ტურისტული პოტენციალის შეფასების დოკუმენტები.

**ამოცანა 25.3. კვალიფიკაციის ამაღლება.**

რეგიონის მასშტაბით მოხდება თანამშრომელთა გადამზადება ტრენინგების, პრაქტიკული სწავლებისა და გაცვლითი პროგრამების მეშვეობით.

**მიზანი 26: ატმოსფერული ჰაერის მართვის ეფექტურობის ამაღლება კონტროლის დაწესებითა და დაბინძურების პრევენციით.**

**ამოცანა 26.1. ჰაერის ხარისხის კონტროლის დაწესება.**

რეგიონში იმ საწარმოების აღრიცხვა მოხდება, რომლებიც ჰაერში მავნე ნივთიერებებს გამოაფრქვევენ. ასევე, შექმნება მონაცემთა ბაზა. რეგიონში ჰაერის ხარისხის მონიტორინგი განხორციელდება, რაც გულისხმობს ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვების სადგურის ამოქმედებას კახეთის რეგიონში და ზედაპირული წყლის ხარისხის მონიტორინგის წერტილების რაოდენობის გაზრდას.

**ამოცანა 26.2. ფოთლის არასრული წვისგან გამონვეული გამონაბოლქვის პრევენცია**

ყველა მუნიციპალიტეტში ჩატარდება საზოგადოებრივი საგანმანათლებლო და ახსნა-განმარტებითი სამუშაოები ფოთლის წვის უარყოფითი შედეგების შესახებ. შემოღებული იქნება ჰაერის დაბინძურებისთვის სანქციები (ჯარიმები).

**მიზანი 27: ბუნებრივი კატასტროფების მართვისა და პრევენციის ეფექტურობის ამაღლება.**

**ამოცანა 27.1. კატასტროფების პრევენციისა და ადეკვატური რეაგირებისთვის სრული მზაობა.**

რეგიონში მოხდება გარემოსდაცვითი რისკების შეფასება და სამოქმედო გეგმების შემუშავება. დაინერგება სეზონური კატასტროფების პრევენციისათვის წინასწარი შეტყობინებების სისტემა. დაიხვეწება ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების შესახებ არსებული რეაგირების გეგმები; ყველა მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობაში შეიქმნება სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალის აღრიცხვისთვის ნდობით აღჭურვილი დელეგირებული სამუშაო ჯგუფები, რომლის მუშაობაშიც ჩაერთვებიან სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები და აქტიური მოქალაქეები; ფერმერულ მეურნეობებში სახელმწიფოს ხელშეწყობით დაინერგება სეტყვის სანინაალმდეგო, გვალვის სანინაალმდეგო და ქარსაფარის თანამედროვე ტექნოლოგიები; მოხდება პასუხისმგებელი საჯარო პირების გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება; შეიქმნება რისკების შეფასების დოკუმენტების, რისკების რუკებისა და მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზა; მოწესრიგდება ბუნებრივი კატასტროფების შემცირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა (სადრენაჟო სისტემები, ნაპირსამაგრი სამუშაოები, გამწვანებითი სამუშაოები); შედეგად რეგიონში შეიქმნება სრული მზაობის სისტემა.

**მიზანი 28: გარემოს დაცვის მართვის გაუმჯობესება გარემოსდაცვითი განათლების დონის ამაღლებით.**

**ამოცანა 28.1. რეგიონის სკოლებში გარემოსდაცვითი განათლების შემოღება.**

მოხდება სკოლების საბუნებისმეტყველო პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო ინვენტარით აღჭურვა. სკოლებში კლასგარეშე სწავლების აუცილებელ კომპონენტად გარემოსდაცვითი განათლება იქნება შემოღებული.

**ამოცანა 28.2. თელავის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლება.**

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაინერგება კახეთის რეგიონისთვის აქტუალური სპეციალობების სწავლება: კლიმატოლოგია, მეტყვეობა, ეკოლოგია, გეოლოგია.





**მიზანი 29: განახლებადი და ალტერნატიული ენერჯის გამოყენების დანერგვა.**

**ამოცანა 29.1. სამართლებრივი ბაზის დანერგვა.**

ეს ამოცანა ითვალისწინებს ცენტრალურ დონეზე შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღებას, რომელიც დაარეგულირებს ალტერნატიული და განახლებადი ენერჯის გამოყენებასა და გამოყენებას.

**ამოცანა 29.2. ალტერნატიული და განახლებადი ენერჯის ათვისება.**

რეგიონში ურბანული დაგეგმარებისას და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისას დამონტაჟდება ენერგოდამზოგავი და ენერჯის ალტერნატიულ წყაროებზე მომუშავე ნათურები; მოხდება მზის ენერჯის წარმოებისა და გამოყენების შეფასება და დანერგვა; ჩატარდება თუშეთისა და მდინარე ილტოს ხეობის სოფლების შესაძლებლობების შესწავლა და ხელი შეეწყობა მათი ალტერნატიული ენერჯით უზრუნველყოფას; მოხდება ბიოსანვავის წარმოების ხელშეწყობა და საპილოტე პროექტების განხორციელება.

**ჯანდაცვა**

**მიზანი 30. მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამების დახვეწით.**

**ამოცანა 30.1. მუნიციპალური საჭიროებების მიხედვით პროგრამების შედგენა.**

მოხდება დაავადებათა პრევენციისა და ინსიდენტობის მიზეზების შესწავლა; შესაბამის მუნიციპალიტეტებში განხორციელდება ტუბერკულოზის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და პრევენცია; მოხდება ცოფის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და პრევენცია; შესწავლილი იქნება ყველა საჭიროებები და მოხდება ჩასატარებელი ღონისძიებების განფასება; ასევე, მოხდება ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისკენ მიმართული პროგრამების ადეკვატური განფასება.

**მიზანი 31. ამბულატორიების რეაბილიტაცია.**

**ამოცანა 31.1. პჯდ ობიექტების რეაბილიტაცია.**

რეგიონში განხორციელდება პჯდ ობიექტების რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებების განფასება. ასევე, გაგრძელდება ამბულატორიების რეაბილიტაცია.

**მიზანი 32. სტაციონარული სექტორის ეფექტურობის გაუმჯობესებისთვის საკონტრაქტო მექანიზმების დახვეწა და სპეციალისტ-ექიმებით უზრუნველყოფა.**

**ამოცანა 32. 1. სტაციონარების სპეციალისტ-ექიმებით უზრუნველყოფა.**

სპეციალისტ-ექიმებისთვის შეიქმნება სამუშაო მოტივაცია. (ეს ღონისძიებები ცენტრალურ დონეზეა გადასანყვეტი).

**განათლება**

**მიზანი 33. უმაღლესი და პროფესიული სწავლების ეფექტურობის ზრდა შრომის ბაზართან ჰარმონიზაციით.**

**ამოცანა 33.1. სასწავლო პროგრამების შრომის ბაზართან ჰარმონიზება უმაღლესი და პროფესიული სწავლების ეფექტურობის ზრდა შრომის ბაზართან ჰარმონიზაციის გზით.**

მოხდება შრომის ბაზრის შესწავლა და მოთხოვნადი პროფესიების გამოვლენა; თელავის უნივერსიტეტში, კაჭრეთისა და თელავის პროფსასწავლებლებში შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალობების სასწავლო პროგრამების შემოღება; გაძლიერდება პროფესიული სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზა, კაჭრეთისა და თელავის პროფსასწავლებლები მოყვანილი იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში; შედეგად ახალგაზრდების მიერ მიღებული ცოდნა დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

**მიზანი 34. სკოლამდელი და საშუალო განათლების ხარისხის ამაღლება ბაღებისა და სკოლების რეაბილიტაციით.**

**ამოცანა 34.1. სკოლების რეაბილიტაციის გაგრძელება.**

რეგიონში სკოლების შენობების გარემონტება გაგრძელდება. ასევე, გაგრძელდება სკოლების ინვენტარით აღჭურვა.







**ამოცანა 34.2. საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის გაგრძელება.**

მოხდება საჭიროებათა შესწავლა, განფასება და ბიუჯეტში გათვალისწინება. ასევე, გაგრძელდება საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.

**ამოცანა 34.3. საბავშვო ბაღებში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება .**

გაკეთდება ღონისძიებების განფასება, რომელიც საბავშვო ბაღებში კვების, სასწავლო პროგრამებისა და სანიტარულ-ჰიგიენური სტანდარტების შემოღებას ითვალისწინებს.

**მიზანი 35. განათლების ეფექტურობის ამაღლება ინკლუზიური და არაფორმალური სწავლების დანერგვის გზით.**

**ამოცანა 35.1. ინკლუზიური სწავლების დანერგვა.**

ეს ამოცანა ითვალისწინებს ინკლუზიური სწავლების საჭიროებების შესწავლას, საჭიროებების განფასებას და შემდგომი ნაბიჯების ბიუჯეტში გათვალისწინებას. შედეგად სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში შეიქმნება ინკლუზიური სწავლების პირობები და შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემოღება.

**ამოცანა 35.2. არაფორმალური განათლების აღდგენა.**

მოხდება არაფორმალური განათლების ობიექტების მდგომარეობის შესწავლა; ჩატარდება ამ ობიექტების რეაბილიტაციისთვის საჭირო განფასება, მოხდება საჭიროებების ბიუჯეტში გათვალისწინება და შესაბამისი სამუშაოების შესრულება.

**რეგიონის სოციალური განვითარება**

**მიზანი 36. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება მიგრაციის შეჩერებით, შობადობის ხელშეწყობითა და ბავშვიანი ოჯახების დახმარებით.**

**ამოცანა 36.1. ყველა მუნიციპალიტეტში შობადობის ზრდის ხელშეწყობა.**

ჩატარდება შემაფერხებელი გარემოებების ანალიზი და შემუშავდება შობადობის ზრდისკენ მიმართული პოლიტიკა (ცენტრალურ დონეზე).

**ამოცანა 36.2. ახალგაზრდების მიგრაციის შეჩერება.**

ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის (სპორტული მოედნები, ახალგაზრდული კლუბები და ა.შ.) შექმნა გაგრძელდება; ახალგაზრდებისთვის სამუშაო ადგილების რაოდენობა გაიზრდება, რის შედეგად შემცირდება ახალგაზრდების მიგრაცია.

**ამოცანა 36.3. ბავშვიანი ოჯახებისთვის დამატებითი სოციალური დახმარება.**

მოხდება ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების შესწავლა; ამის საფუძველზე განხორციელდება სერვისების განსაზღვრა, განფასება და ბიუჯეტში გათვალისწინება. ამ მიმართულებით შესაძლებელია სპეციალურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

**მიზანი 37. დასაქმების ზრდა კვალიფიკაციის ამაღლებით, აგრომრეწველობასა და ტურიზმში ახალი სამუშაო ადგილების შექმნით, პროფესიული გაერთიანებების დაფუძნებით.**

**ამოცანა 37.1. დარგის კვალიფიციური კადრებით აღჭურვა.**

ამოცანა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას და ამის საფუძველზე პროფესიულ სასწავლებლებსა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროგრამების დანერგვას.

**ამოცანა 37.2. შრომის ბაზარზე მოთხოვნის შექმნა.**

მოხდება ინფრასტრუქტურის პროექტების გაგრძელება, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტების და ტურიზმის განვითარება.

**ამოცანა 37.3. ბიზნესის წარმართვის საჭირო უნარების განვითარება.**

თელავის უნივერსიტეტის ან პროფსასწავლებლების ბაზაზე ჩატარდება ბიზნესის საფუძვლების ტრენინგები.

**ამოცანა 37.4. დარგების განვითარება პროფესიული გაერთიანებების მეშვეობით.**

პროფესიული გაერთიანებები შეიქმნება სოფლის მეურნეობაში, ბიზნესსა და ტურიზმში.

